ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 11 ნოემბერი, 2016 | №268 (7193) | ფასი: 50 თეთრი

**ალექსანდრე ჯეჯელავა: „კომბლე მოძალადე და ცუდი მეცხვარეა“**



გვ.10

**10 ნოემბრიდან**

ჯერალდ დარელი

**იდუმალი ხმების ქვეყანა მთვრალ ტყეში**



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

# სააკაშვილი ბოკერიას გაემიჯნა და ნაციონალებზე კომპრომატების გამოქვეყნებას აპირებს


გვ.2

„ახირებულ ტიპებთან საერთო არაფერი მაქვს“






## კახა კუკავა: „ქართული ოცნება“ დამთავრდა“


გვ.3

„ნაციონალური მოძრაობა დღეს ბიძინა ივანიშვილის მიერ ნაყიდი პარტიაა“

## ირინა სარიშვილი: „ასე არ გამოვა, დეპუტატო ნაციონალებო, ჯერ გაემიჯნოთ, მერე მოემიჯნოთ!“


გვ.4

## პეტრე მამრაძე: „სააკაშვილს ლარის კუპონიზაციაც ვერ უშველის“


გვ.3

## კომერციულ ბანკებში 1 აშშ დოლარის ფასი 2.52 ლარი გახდა


გვ.6

„სააკაშვილმა ახალი ავანტიურა წამოიწყო“

## გიგა ბუკია: „ტრამპი ხალხთან ახლოს დადგა“


გვ.5

## „საქართველოს ხელისუფლებამ ტრამპთან მისასვლელი გზები უნდა მოძებნოს“


გვ.5

გიორგი ბადრიძე: „ტრამპსა და პუტინს შორის უფრო მეტი კონფლიქტის პოტენციალს ვხედავ, ვიდრე თანამშრომლობისას“


გვ.2

## დავით უსუფაშვილი: „ყოველთვის არც ამერიკელები არიან აღფრთოვანებული იმ არჩევანით, რომელსაც ქართველები ვაკეთებთ“

ქართული სამღვდელოების ისტორიული ვიზიტი ნატოს შტაბბინაში


გვ.4

## დავით ნარმანია

„სითი პარკთან“ ხელშეკრულების გაწყვეტისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ


გვ.6

## კოკოითის

პრეზიდენტობა მოუნდა


გვ.4

ISSN 1987-9385

## სუს-მა ბათუმის მერის წარმომადგენელი დააკავა

გვ.7

# სააკაშვილი ბოკერიას გაემიჯნა და ნაციონალებზე კომპრომატების გამოქვეყნებას აპირებს

შორენა მარსაგიშვილი

## „ახირებულ ტიპებთან საერთო არაფერი მაქვს“





ნაციონალური მოძრაობა, ფაქტობრივად, დაშლილია. ისეთი პროცესები მიდის, ცოტა ხანში უკვე იმაზე დაიწყება დავა, ვის დარჩება ეს სახელი.

მიხეილ სააკაშვილი მის მიერ მოპოვებულ სახელს ასე იოლად არ დათმობს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სააკაშვილს ამ სახელის მითვისებაში უკვე წლებია ადანაშაულებს მირიან მირიანაშვილი. ამ დავის გამო, ვარდების რევოლუციის შემდეგ, მას ქვეყნიდან მოუხდა გაქცევა. ახლა სააკაშვილია ემიგრაციაში და, შესაძლოა, უპარტიოდ დარჩეს.

ჯერ კიდევ მის პარტიაში არსებულ დაპირისპირებას 10 ნოემბრამდე კატეგორიულად უარყოფდნენ, გუშინ კი კარტები გაიშალა – მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე ლიდერს ღიად გაემიჯნა. გამიჯნულებმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღეს. არადა, 9 ოქტომბრის შემდეგ ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებენ.

რამდენიმე დღის წინ „ახალი თაობა“ წერდა, რომ სააკაშვილმა თანაპარტიელებს საპროტესტო აქციები ვერაფრით დააწყებინა. აქ დარჩენილების ნაწილი, რომლებიც პარტიას აკონტროლებდნენ, ამბობდნენ, გრეჩიხები კი არა ვართ, ქუჩაში გავიდეთო. პარტიაში მაშინ ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს. სამაგიეროდ, სააკაშვილის განცხადების შემდეგ თქვა გიგა ბოკერიამ, კარგი ვქენით, აქციებს რომ არ მივმართეთო.

სააკაშვილი თანაპარტიელებს არჩევნების შედეგების გაპროტესტებასა და ქუჩაში გასვლას სთხოვდა. მისი მოთხოვნის საპასუხოდ პარტიის წევრებმა ჯერ პარლამენტში შესვლაზე განაცხადეს თანხმობა, შემდეგ კი პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევა მოითხოვეს.

სააკაშვილმა, რომელიც თანაპარტიელებს ფეისბუქის მეშვეობით ეკონტაქტება, მორიგი განცხადებაც სოციალური ქსელით გაავრცელა, კერძოდ, გამოაქვეყნა ინტერვიუ, სადაც ამბობს, რომ ის პარტიაში მყოფ ახირებულ ტიპებს ემიჯნება, არჩევნების წაგებას მათ აბრალებს და უაზრო ტიპაჟებად მოიხსენიებს.

– იმ ახირებულ ერთ-ორ პერსონასთან, მათ შორის პარტიის ხელმძღვანელობაში, ვინც არ უსმენს ჩვენს აქტივისტებს, ვინც დაუშვა ამდენი შეცდომა, ვინც, პრაქტიკულად, გამოგვიწერა დამარცხებები არა მხოლოდ წარსულში, არამედ მომავალშიც, არაფერი მაქვს საერთო, – აღნიშნა სააკაშვილმა.

ის უკმაყოფილოა იმით, რომ ეს უაზრო ტიპაჟები თავისას არ იშლიან და ლაპარაკს აგრძელებენ. ნაპრეზიდენტალს ისიც სწყინს, უაზროები პარტიის მხარდამჭერებს რომ ემიჯნებიან და მას კერპად მოიხსენიებენ.

– რაღაცებს აქვეყნებენ, თითქოს ისინი გმობენ და ემიჯნებიან საკუთარ მომხრეებსა და აქტივისტებს, ვინც გადაგვაკვდა და გადააკვდა საქართველოს საქმეს. დაიწყეს უაზრო ლაპარაკი – სააკაშვილი კერპი უნდა იყოს თუ არ უნდა იყოს. რა შუაშია სააკაშვილი და რა შუაში ვარ ამ დებატებში მე? აქ საუბარი სხვა რამეზეა. ივანიშვილმა გააყალბა არჩევნები და დედის რძესავით შევირგეთ ეს გაყალბება. ვურჩევდი, არ წასულიყვნენ მეორე ტურზე, რადგან ორმაგი იმედგაცრუება იქნებოდა, მაგრამ ერთ მანდატს მაინც წავგლეჯთო, თუმცა, მოხდა ის, რასაც ვვარაუდობდი – ვერცერთი მანდატი ვერ აიღეს და ამან გამოიწვია კიდევ უფრო დემორალიზება. ამის შემდეგ კიდევ აგრძელებს ერთი-ორი უაზრო ტიპაჟი ლაპარაკს, – აღნიშნა ნაპრეზიდენტალმა.

სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ ადამიანებს, რომლებიც პარტიაში ამ პროცესებს ხელმძღვანელობენ, პრობლემები ამომრჩეველთან აქვთ. მას არ მოსწონს, რომ პარტიაში რაღაც ციკლები შეიმუშავეს.

– საუბრობენ რაღაც 10-წლიან ციკლზე, თურმე უნდა დაველოდოთ, კიდევ რამდენიმე წელიწადში როგორ გააყალბებს ივანიშვილი არჩევნებს. ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის ემზადებოდა ასეთი ხრიკებისთვის, ყოველთვის ჰქონდა გამზადებული ბრძოლის ვარიანტი და, იმის მაგივრად, რომ ხალხს ვრაზმავდეთ, იმის მაგივრად, რომ ბრძოლისა და შეურიგებლობისკენ მოვუწოდოთ ამ ყველაფრის მიმართ, სადღაც ხელებს იშვერენ.

თურმე პრობლემაა სააკაშვილის, იმის, ამის... მათ პრობლემა სააკაშვილთან კი არ აქვთ, მათ პრობლემა აქვთ საკუთარ ხალხთან და, პირველ რიგში, ჩვენს მრავალრიცხოვან – 600.000 მხარდამჭერთან, – აღნიშნავს ჯერ ისევ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სააკაშვილი ახირებულ ტიპებთან კავშირს წყვეტს, სამაგიეროდ, აქტივისტებსა და მოსახლეობას გვერდში დგომას ჰპირდება.

– მე დავეხმარები ჩვენს ხალხს, ჩვენს აქტივისტებს, ვიბრძოლებთ და აუცილებლად გავიმარჯვებთ. დიდ საქმეში ვარ აქ, მაგრამ ერთი წუთით არ ვწყვეტ ჩემს ქვეყანაზე ფიქრს, – აღნიშნა სააკაშვილმა.

ყოფილმა პრეზიდენტმა თავისი მეუღლის გადაწყვეტილებებზეც ისაუბრა.

სანდრა რულოვსმა ჯერ მეორე ტურში მონაწილეობაზე თქვა უარი, შემდეგ კი პარლამენტში შესვლა გადაიფიქრა. ცნობისთვის, ნაპრეზიდენტალის თანამეცხედრე საარჩევნო სიაში მეორე ნომრად იყო განთესილი.

მეუღლის გადაწყვეტილებით კმაყოფილი სააკაშვილი ასეთ კომენტარს აკეთებს:

– სანდრამაც გამოიჩინა წარმოუდგენლად მებრძოლი თვისებები. მასაც სრულიად ვუჭერ მხარს იმ გადაწყვეტილებაში, რომელიც მიიღო. ის არ ჩამოუშვებს ხელებს, გააგრძელებს ბრძოლას და ეს ბრძოლაც იქნება ჩვენი საერთო გამარჯვების ნაწილი.

* * *

მართალია, სააკაშვილს თავის ინტერვიუში არავისი გვარი არ უხსენებია, მაგრამ ყველა მიხვდა, რომ ახირებულ ტიპებში ის, პირველ რიგში, გიგა ბოკერიას მოიაზრებს, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს პარლამენტში შესვლას.

ბოკერია სააკაშვილის გაღიზიანებას გაგებით ეკიდება, მაგრამ პოზიციის შეცვლას არ აპირებს.

– მე კარგად მესმის ჩემი ზოგიერთი თანაგუნდელის, ლიდერისა თუ მხარდამჭერის ემოცია და გაღიზიანებაც კი, მაგრამ ვრჩები ჩემს ძალიან მყარ აზრზე, რომ, მიუხედავად ძალადობრივი და არათავისუფალი არჩევნებისა, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო მეორე ტურში ბრძოლა და პარლამენტში შესვლა ამ ისტორიულ მომენტში.

ეს იყო სწორი გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პარტიის ინტერესებისთვის და, საბოლოო ჯამში, ივანიშვილის რეჟიმის დემოკრატიულად დამარცხების საქმისთვის. სწორედ ასევე მჯერა, რომ ქუჩაში პროცესების გადატანა, ამ ძალადობის მიუხედავად, იქნებოდა, უკეთეს შემთხვევაში, ორთქლის გამოშვება და არაფერს კარგს არ მოუტანდა არც ქვეყანას ამ კონკრეტულ მომენტში, არც პარტიასა და არც ივანიშვილის რეჟიმის დამარცხების საქმეს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გიგა ბოკერიამ.

მართალია, სააკაშვილს ის გამოეპასუხა, მაგრამ არაფრით არ პასუხობს კითხვაზე, გულისხმობდა თუ არა მას ნაპრეზიდენტალი ახირებულ ტიპებში, მეტიც, ამ საკითხს მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს.

– მე უკვე მოგახსენეთ კომენტარი იმაზე, რაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია, – აღნიშნა ბოკერიამ.

ბოკერიას მსგავსად, პარტიის პარლამენტში შესვლას მხარს უჭერდა ნაცმოძრაობის ახალი სახე ელენე ხოშტარია. ის იყო პირველი ნაციონალი, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ პარლამენტში უნდა შესულიყვნენ.

მისი მტკიცებით, პარლამენტში შესვლისა და მეორე ტურში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება ერთპიროვნულად არავის მიუღია.

– როგორც თავად მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, მისი მთავარი კრიტიკის საგანი არის პარლამენტში შესვლის საკითხი და მეორე ტურში მონაწილეობა. ის არ ყოფილა ერთი და ორი ადამიანის მიერ დაყენებული თემა. ჩვენ ძალიან ღიად, ჯანსაღად ვიმსჯელეთ და კოლექტიურად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ქვეყნის ინტერესებში დღეს არის პარლამენტში შესვლა და იყო მეორე ტურში მონაწილეობა.

როდესაც პარტია იღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებული ვართ, ეს შევასრულოთ, შევიდეთ პარლამენტში და გავაგრძელოთ ბრძოლა, მიუხედავად იმისა, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

* * *

პარტიაში დაწყებული უთანხმოება ნაცმოძრაობის ახალგაზრდულ ფრთაზე, თავისუფალ ზონაზეც, აისახება. ამბობენ, რომ რამდენიმე ადამიანი ზონის დატოვებას აპირებს.

თავისუფალ ზონაში დარჩენილებმა კი, ნაცმოძრაობის მიშისტურ ფრთასთან ერთად, შესაძლოა, ახალი კამპანია წამოიწყონ. ამ ეტაპისთვის ნაცმოძრაობაში 2 ფრთაა – მიშისტი და გიგისტი ნაციონალები.

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძის ინფორმაციით, ნაცმოძრაობის ძველი სახეები, თავისუფალი ზონის წევრებთან ერთად, გიგა ბოკერიასა და ნიკა მელიას წინააღმდეგ სერიოზული კამპანიის დაწყებას აპირებენ.

ცოტა ხნის წინ მანვე გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბოკერიას დაჯგუფების წინააღმდეგ სააკაშვილმა, შეიძლება, სერიოზული კომპრომატები გამოაქვეყნოს.

რაღაც მასალების გამოქვეყნების შესაძლებლობა არ გამორიცხა „ახალ თაობასთან“ საუბარში პარტიასთან დაახლოებულმა წყარომ.

– აქ პირადი ცხოვრების გამოქვეყნებაზე საუბარი არ არის. ქოცებს ხომ ამის მეტი არაფერი აინტერესებთ. გამოქვეყნდება, თუ როგორ თანამშრომლობდნენ ზოგიერთები ოლიგარქთან. მე არავისი გვარის დასახელება არ მინდა. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ამ ხალხმა მიშას დიდგორში პარტიის ყრილობა არ ჩაატარებინა. ძალიან მალე კიდევ ბევრ საინტერესოს გაიგებთ, – ამბობს ჩვენთან საუბარში ნაცმოძრაობის ერთ-ერთი წევრი.

## დავით უსუფაშვილი: „ყოველთვის არც ამერიკელები არიან აღფრთოვანებული იმ არჩევანით, რომელსაც ქართველები ვაკეთებთ“



– ყოველთვის არც ამერიკელები არიან ხოლმე აღფრთოვანებული იმით, რა არჩევანსაც ვაკეთებთ ჩვენ – ქართველები, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი ჩვენთან სტრატეგიულ მეგობრობას აგრძელებენ.

აღნიშნული განცხადებით პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვებას გამოეხმაურა.

უსუფაშვილის შეფასებით, აშშ-ის ახალი პრეზიდენტის პირობებში უშუალოდ ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში რაიმე პრობლემა არ გაჩნდება, თუმცა, მისი ვარაუდით, მოსალოდნელია გარკვეული გამოწვევები საერთაშორისო უსაფრთხოებისა და საერთაშორისო პოლიტიკის სისტემაში.

პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, რომ ამ მხრივ საქართველოს განსაკუთრებული სიფხიზლე მართებს.

– ამერიკის შეერთებულ შტატებში მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესი დასრულდა. დასრულდა ისე, როგორც, შესაძლოა, ბევრი არ ელოდა, არც აშშ-ში და არც მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ეს არის რეალობა, ეს არის ამერიკელი ხალხის არჩევანი.

უნდა გავაუმჯობესოთ, გავაორმაგოთ მუშაობა ჩვენს პარტნიორებთან ცოტა გაურკვევლობების პერიოდში, როდესაც, შესაძლოა, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს, ქვეყნებს გაუჩნდეთ გარკვეული ვაკუუმისა და იმის განცდა, რომ ახლა დროა, რაიმე ნაბიჯები გადაიდგას არალეგიტიმური ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ამიტომ ჩვენ გვმართებს გარკვეული სიფხიზლე, დიპლომატიური არხებით და ყველა სხვა არხით, რითაც ქვეყნის ინტერესია დასაცავი.

ეს ის თემებია, როცა პოლიტიკური სპექტრი უნდა ვიყოთ რაც შეიძლება მოწოდებული, რომ ქვეყნის ინტერესები ყველა ფლანგზე დავიცვათ, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

**ინტერპრესნიუსი**

## გია ვოლსკი: „სააკაშვილს სურს, იყოს ხელისუფალი ან გადატრიალების ლიდერი“



– სააკაშვილს სურს, იყოს ხელისუფალი ან გადატრიალების ლიდერი. არ არის გასაკვირი, რომ ის მისივე პარტიაში ბევრისთვის მისაღები არ იყოს.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ განუცხადა.

მისი თქმით, რაც არ უნდა აკრიტიკონ სააკაშვილი პარტიის შიგნითაც, ამით საბოლოო შედეგი არ იცვლება – „ეს პარტია არის აგრესიული, ძალადობრივი მეთოდების მქონე პარტია, რომელსაც სააკაშვილი მართავს“.

– დესტრუქციული ძალაა ნაციონალური მოძრაობა და ყველას, ვისაც სურვილი ექნება, ამ დესტრუქციული ფორმატიდან გავიდეს, ძალიან გაუჭირდება, რადგან გადააწყდება სააკაშვილის წინააღმდეგობას, რომელიც წითელი ხაზების დარღვევის საშუალებას არ მისცემს, – განაცხადა ვოლსკიმ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახა კუკავა: „ქართული ოცნება“ დამთავრდა“

## „ნაციონალური მოძრაობა დღეს ბიძინა ივანიშვილის მიერ ნაყიდი პარტიაა“

ნონა ცაბაძე

ბიძინა ივანიშვილმა გამოააშკარავა პოლიტიკური პარტიები 2011 წელს, როცა მილიონი ლარი ჩაურიცხა თითოს, ხოლო დაფინანსება რომ შეუწყვიტა, ყველა ეს პარტია ამ არჩევნებზე უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა.

ბრეჟნევის დრო დაბრუნდა, „ოცნებამ“ 73-დან 73 მაჟორიტარული ოლქი მოიგო და ამ პირობებში ცალ-ცალკე ჩვენი 200-200 ლარით ვებრძოლოთ 7 მილიარდს?! ეს პოლიტიკური კრეტინიზმის შედევრია!

პარტია თავისუფალი საქართველოს ლიდერი **კახა კუკავა** მიიჩნევს, რომ დღეს მთავარი პროცესები პარლამენტს გარეთ უნდა წარიმართოს.

***– ხელისუფლებაში არაფერი ხდება საინტერესო? ამბობენ, რომ „ოცნების“ შიგნითაც დიდი ამბები ხდება.***

– შიგნით რატომ და რისთვის ჭამენ ერთმანეთს, ეს ნაკლებად მაინტერესებს. როდესაც ავტორიტარული რეჟიმი ყალიბდება, როგორც უიდეო და უპრინციპო, იქ ის ხალხი იყრის თავს, რომლებიც მიდიან არა სახელმწიფოებრივი მოსაზრებების, არამედ კარიერის გამო. როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის მეორე ვადაში, ერთმანეთი დახოცეს და დაჟლიტეს თანამდებობების გამო, სწორედ ის ელის „ქართულ ოცნებასაც“! მაგრამ ეს პროცესი ნამდვილად არ იქნება წამყვანი.

***– აბა, რა იქნება წამყვანი?***

– „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური ძალა, დამთავრდა. ეს არის მხოლოდ ბიზნესკორპორაცია. მთავარი, რაც უნდა მოხდეს ქვეყანაში, ეს არის ის, თუ რა მოხდება ოპოზიციურ ფლანგზე. დღეს ჩვენ რეალურად პოლიტიკური პროცესები პარლამენტს გარეთ გვაქვს.

***– რომელ ოპოზიციურ ფლანგზე საუბრობთ? გვყავს კიდევ ოპოზიცია?***

– ოპოზიციაშიც უნდა მოხდეს გადაჯგუფება. ოპოზიციის დიდი ნაწილი უპასუხისმგებლო გამოდგა და სააკაშვილ-ივანიშვილის წისქვილზე დაასხა წყალი. სააკაშვილ-ივანიშვილის თამაში გულისხმობს იმას, რომ უნდა იყოს ორპარტიული მარკეტინგი, როდესაც ამომრჩეველს შესთავაზებენ ორ ფერს და მთელი ამომრჩეველი გადანაწილდება ამ ორ პარტიაზე. ამას ხელი შეუწყო ოპოზიციამაც. ძირითადად ისინი სააკაშვილის ან ივანიშვილის სატელიტებად გვევლინებოდნენ და ამომრჩეველმა მესამე გამოკვეთილი ძალის დანახვა ვერ შეძლო.

***– იყო კი გამოკვეთილი ძალა?***

– ამის გაკეთება შეიძლებოდა მხოლოდ გაერთიანებით, მაგრამ ძირითადმა პარტიებმა ეს ვერ შეძლეს. აქედან გამომდინარე, 2017 წლისთვის არის ამოცანა – საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს ახალი ოპოზიცია. ნაწილობრივ ეს იქნება არსებული სპექტრიდან და ნაწილობრივ განახლებისა და ახალი სახეების ხარჯზე, რადგან იმ ოპოზიციამ, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა, ქართველ ხალხს სრული არაადეკვატურობა და არაპროფესიონალიზმი დაანახა!

***– რას იტყვით დაშლილ პარტიებზე, ისინიც გადაჯგუფებისთვის ემზადებიან თუ რაიმე სხვა პროცესია?***

– გადაჯგუფებისთვის არ ემზადებიან. ეს სერიოზული პრობლემაა. პოლიტიკურ პარტიებში იდეისთვის მებრძოლი ადამიანების რაოდენობა ნულამდე დავიდა. პარტიების უმრავლესობა სახელფასო ბიუროკრატიად ჩამოყალიბდა.

***– ამით რის თქმა გსურთ?***

– პარტიაში მიდიოდნენ იმის გამო, რომ სპონსორი უხდიდა ხელფასს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ პარტიები, რომლებსაც არჩევნებამდე ჰქონდათ ხელფასები და არჩევნების შემდგომ აღარ აქვთ, დატოვა ამ ხალხმა. ჩვენთან არც ლიბერალები არსებობენ და არც – კონსერვატორები. თუ გადაუხდი 1.000 ლარს, იქნება კონსერვატორი, ხოლო თუ ვინმე 2.000-ს შესთავაზებს, მაშინვე გადავა ლიბერალურ პარტიაში, ხოლო თუ ხელისუფლება გადაუხდის 4.000 ლარს, ხელისუფლებაში გადავა.

***– ოპოზიცია ფულზე იყიდება?***

– აი, ეს მოხდა, ამის ლუსტრირება მოხდა, რაც ისედაც კარგად ვიცოდით! სწორედ ბიძინა ივანიშვილმა გამოააშკარავა ეს პოლიტიკური პარტიები 2011 წელს, როცა მილიონი ლარი ჩაურიცხა თითოს, ხოლო დაფინანსება რომ შეუწყვიტა, ვნახეთ, რომ ყველა ეს პარტია ამ არჩევნებზე უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა. აქედან დასკვნა, რომ საქართველოში პოლიტიკური სპექტრის ძალიან დიდი ნაწილი კორუმპირებულია! ამიტომაც უნდა ჩამოყალიბდეს ახალი პოლიტიკური სქემა, რომელიც იქნება უფრო ჯანსაღი და უფრო პროგრესული.



**ოპოზიცია ძირითადად სააკაშვილის ან ივანიშვილის სატელიტებად გვევლინებოდა და ამომრჩეველმა მესამე გამოკვეთილი ძალის დანახვა ვერ შეძლო**

***– ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი სახეზეა, რაც არის, ეს არის. საიდან უნდა მოვიდნენ უფრო პროგრესულები და უფრო მოაზროვნეები?***

– უნდა მოვიდნენ ის ადამიანები, რომლებიც აქამდე პოლიტიკაში ჩარევაზე უარს ამბობდნენ. არსებულ სპექტრშიც გამოიძებნება ასეთი ადამიანები. დღეს ვისაც ვხვდები, ყველა ოპოზიციურ ლიდერს ვეკითხები, რატომ თქვეს უარი არჩევნების წინ გაერთიანებაზე, იქვე იმასაც ვეკითხები, აპირებენ თუ არა იმავე შეცდომების დაშვებას 2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე. ყველა, ვინც უარს იტყვის 2017 წლის არჩევნებისთვის გაერთიანებაზე, ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქიულ რეჟიმზე დაასხამს წყალს!

***– საუბრობენ იმის თაობაზეც, რომ ივანიშვილი თავადვე აპირებს ოპოზიციური ძალის შექმნასა და დაფინანსებას. ამაზე რას იტყვით?***

– რასაკვირველია, შექმნის, ერთსა და ორს კი არა, ბევრ ოპოზიციურ პარტიას შეგვიქმნის, შექმნის ალტერნატიული ორიენტაციის პარტიებს, რათა რეალურ ოპოზიციას ამომრჩეველი წაართვას. ეს არის ივანიშვილის მარკეტინგი. ავტორიტარულ რეჟიმს, შესაძლოა, მხოლოდ ერთიანი ოპოზიცია დაუპირისპირდეს.

ბრეჟნევის დრო დაბრუნდა, „ოცნებამ“ 73-დან 73 მაჟორიტარული ოლქი მოიგო და ამ პირობებში ცალ-ცალკე ჩვენი 200-200 ლარით ვებრძოლოთ 7 მილიარდს?! ეს პოლიტიკური კრეტინიზმის შედევრია!

***– რას იტყვით იმ პროცესებზე, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარეობს?***

– ნაციონალურ მოძრაობაშიც იგივე პროცესი ხდება. მიხეილ სააკაშვილი არის ბოლო დამფუძნებელი ნაციონალური მოძრაობისა, რომელიც არის ამ პარტიის წევრი. მან თვითონ, თავისი ხელით გარიცხა ამ პარტიის დამფუძნებლები პარტიიდან, ჯერ კობა დავითაშვილი მოიშორა, მერე – ძიძიგური, მერე – ბერძენიშვილი და, საბოლოო ჯამში, ამ პარტიას წარმოადგენს ჟვანიას გუნდი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელი არ ყოფილა.

ეს დღე ბიძინა ივანიშვილსაც ელოდება. შევარდნაძის დროსაც იგივე მოხდა, შევარდნაძე მოიშორა მოქალაქეთა კავშირმა, მერე სააკაშვილმა შექმნა ნაცმოძრაობა და გადააგდო დამფუძნებლები, ახლა კი სააკაშვილი აღარ სჭირდებათ. ის ზედმეტია ნაციონალურ მოძრაობაში.

***– რატომ გახდა ზედმეტი?***

– იმიტომ, რომ მისი და ნაციონალური მოძრაობის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა. ნაციონალური მოძრაობა დღეს ბიძინა ივანიშვილის მიერ ნაყიდი პარტიაა. ნაცმოძრაობის ყველა ლიდერი მას ნაყიდი ჰყავს, ზოგი ფულით, ზოგი კომფორტით, ზოგი – უსაფრთხოების გარანტიით და ასეთი გარიგებაა, რომ ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში ერთ-ერთი ფსევდოოპოზიციური ძალა იქნება.

სააკაშვილი ამ პარლამენტში ვერ იქნება და მისი ინტერესები ნაციონალური მოძრაობისას არ ემთხვევა. მიშას სხვა აქტიურობა უნდოდა, ამათ კი ერთი სული აქვთ, როდის შევლენ პარლამენტში და ჩახტებიან სავარძლებში. მეტი საქმე არა აქვთ, რუსთაველზე ბარიკადები გაშალონ. სააკაშვილი გამოდგა ზედმეტი რგოლი და მას ფორმალურადაც ჩამოიცილებენ უახლოეს პერიოდში.

სააკაშვილი დარჩენილი ცხოვრების მეორე ნახევარს გაატარებს ძებნაში, მერე – საბრალდებო სკამზე, მერე დაიწყება საუბარი იმაზე, მოხდეს თუ არა მისი ექსტრადიცია და მთელი დარჩენილი ცხოვრება ექნება ეს ჯოჯოხეთი. ეს არის ძალიან კარგი გაკვეთილი ივანიშვილისთვის. მან უნდა უყუროს ყოველდღე სააკაშვილს და უნდა იცოდეს, რომ ის ელის, რაც სააკაშვილს ელოდება.

# პეტრე მამრაძე: „სააკაშვილს ლარის კუპონიზაციაც ვერ უშველის“

ნათია ხურცილავა

მთავრობის კანცელარიის ყოფილი უფროსი **პეტრე მამრაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო პეტრე, ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებს რას დაარქმევთ, გაიხლიჩა ნაციონალური მოძრაობა? ერთ მხარეს არის გიგა ბოკერია და მეორე მხარეს მიხეილ სააკაშვილი?***



– გიგა ბოკერიას ნამდვილად აქვს სურვილი, მიხეილ სააკაშვილი ჩაანაცვლოს. შეიძლება, ეს სურვილი მასზე მეტად მის მეუღლეს ჰქონდეს. პარტიის შიგნით რომ განხეთქილებაა და სააკაშვილს არ ეთანხმებიან, ეს აშკარაა. გარდა ამისა, უთანხმოება რომ არის სტრატეგიულ საკითხზე სააკაშვილსა და ბოკერიას შორის, ეს იმ ფარულ სატელეფონო ჩანაწერებშიც კარგად გამოჩნდა, რომლებიც გამოქვეყნდა.

იმ სატელეფონო საუბრებში კარგად ჩანს, სააკაშვილი როგორ არარეალისტურ, რეალობისგან მოწყვეტილ დავალებებს აძლევს შორიდან ბოკერიას, რკინის ბარიკადების აშენებიდან დაწყებული, მრავალათასიანი პერმანენტული, დაუშლელი მიტინგების გამართვით დამთავრებული. ჩვენ კარგად ვნახეთ, რომ ეს დავალება არ შესრულდა.

სანამ სააკაშვილის ხელში გახლდათ ეს პარტია, ნაციონალური მოძრაობა სააკაშვილის აბსოლუტურად მორჩილი სხეული იყო.

***– დღეს ეს ვითარება შეცვლილია?***

– სრულიად შეცვლილია. დღეს მსჯელობენ, ვინ ჩაანაცვლებს სააკაშვილს. ასეთი ფრაზებიც ისმის: ვინ არის სააკაშვილი ჩვენ გარეშე? ან ასეთი ფრაზაც: რატომ უნდა ვისმენდე საყვედურებს ქოცებისგან იმაზე, თუ რატომ არ ჩამოვიდა სააკაშვილი რვაში? ასევე გამოაქვეყნეს სია, თუ ვინ არის პარლამენტში შესვლის მომხრე და ვინ – არა.



არადა, თავის დროზე მიხეილ სააკაშვილი რასაც იტყოდა, ის იყო კანონი და კიდევ უფრო ძლიერი რამ. მაშინ სააკაშვილს რომ ეთქვა, არ შევდივარ, მორჩა!!! ამას ნაციონალები, როგორც კანონს, ისე მიიღებდნენ, მისი დარღვევა აზრადაც კი არ მოუვიდოდათ. დღეს ასე არ არის და ეს სახეზეა, მაგრამ გიგა ბოკერია ვერანაირი ლიდერი ვერ იქნება.

***– რატომ?***

– მას არ აქვს ლიდერისთვის საჭირო თვისებები. მეტიც, ბოკერიას ყოველი საჯარო გამოსვლა აღრმავებს ნაციონალური მოძრაობისადმი არსებულ ზიზღს, არადა, სხვა ლიდერიც არ ჩანს. იმდენად უარყოფითი აურა აქვს ხალხში, რომ მისი პოპულარობა წარმოუდგენლად მეჩვენება.

***– ნაციონალური მოძრაობა გადარჩენისთვის იბრძვის თუ მართლაც განახლებისთვის, როგორც თავად ამბობენ?***

– დღეს ნაციონალური მოძრაობა გადარჩენისთვის იბრძვის და ეს სახეზეა. ამისთვის საჭიროა, მათ ღიად დაგმონ ყველა ის დანაშაული, რომლებიც სააკაშვილის მმართველობის დროს ხდებოდა. ეს არის აუცილებელი პირობა. უნდა გაემიჯნონ და დაიბრალონ ის, თუ რამე კარგი ხდებოდა, რეფორმები და ა.შ. მაგრამ ამას ვერ შეძლებენ, რადგან ამის დრო წავიდა. ეს მაშინვე უნდა გაეკეთებინათ.

ნაციონალური მოძრაობა, როდესაც მმართველი ძალა იყო, სამ რამეს ეყრდნობოდა: სიძულვილს, ძალადობასა და ტყუილს. ეს იცის ხალხმა და არც დავიწყებია. ახლა უკვე გვიანია და ხალხი არცერთი მათგანისგან აღარ მიიღებს ასეთ აღიარებით ჩვენებას.

დავით ბაქრაძეს, რომელიც სიის პირველი ნომერია, პარტიაში ნულოვანი წონა აქვს. მასთან არც კი კადრულობდა დარეკვასა და საუბარს ვანო მერაბიშვილი, როდესაც ბაქრაძე პარლამენტის თავმჯდომარე იყო, ეკა ზღულაძეს თუ დაარეკვინებდა და დავალებას გადასცემდა, მაგრამ, ჰყავთ იმიტომ, რომ უშუალოდ გასვრილი არ არის, კარგად მეტყველებს, ყოველთვის კორექტულია, უცხოელებთანაც კარგად გამოსდის საუბარი დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, თავისუფლებაზე და ასეთ ღირებულებებზე. იმავეს თქმა შემიძლია გიგი წერეთელზეც. სამწუხარო ის არის, რომ სწორედ ეს ფრთა უზრუნველყოფდა ტყუილს.

***– მიხეილ სააკაშვილი უკრაინის პოლიტიკაში დარჩება თუ კვლავ ეცდება, საქართველოში გააგრძელოს პოლიტიკური კარიერა თუნდაც ბრალდებულის სტატუსით?***

– მიხეილ სააკაშვილს საქართველოში პოლიტიკური მომავალი ნამდვილად არ აქვს. რაც უნდა სოციალ-ეკონომიკური კოლაფსი განვითარდეს და ლარის კუპონიზაცია მოხდეს, სააკაშვილი ვერ იქნება ის ახალი ქარიზმატული ლიდერი, რომელიც ქვეყნის გამოყვანას ეცდება. ეს შეუძლებელია.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# კოკოითის პრეზიდენტობა მოუნდა

**შორენა მარსაგიშვილი**



EPA

დონალდ ტრამპის გამარჯვებამ მინაფტალინებული ედუარდ კოკოითი გამოაცოცხლა.

ოსური მედიის ცნობით, ის მესამე ვადით აპირებს კენჭისყრას. იმ შემთხვევაში, თუ ის 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს მოიგებს, ვნახავთ, ვის ეყოლება ყველაზე კომიკური პრეზიდენტი – ზესახელმწიფო აშშ-ს თუ არაღიარებულ სამხრეთ ოსეთს.

საპრეზიდენტო არჩევნები ცხინვალის რეგიონში მომავალი წლის აპრილში ჩატარდება. ოსური მედიის მტკიცებით, უკვე გადაწყვეტილია, რომ ამ არჩევნებში ბედს მოქმედი პრეზიდენტი თიბილოვი და პარლამენტის მოქმედი სპიკერი ბიბილოვი ცდიან. ეს უკანასკნელი თავის დროზე ედუარდ კოკოითის შემცვლელად მოიაზრებოდა, მაგრამ მაშინ არჩევნების მოგება ვერ შეძლო.

ბიბილოვიც და თიბილოვიც ამომრჩევლის გულის მოგებას რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თემაზე საუბრით ცდილობენ. ხან ერთი დაიწყებს ამ თემაზე რეფერენდუმის ჩატარებაზე საუბარს, ხან მეორე.

ამ დღეებში მარაქაში კოკოითიც გაერია. მან განაცხადა, რომ ამ საკითხზე არავითარი რეფერენდუმი არ უნდა ჩატარდეს და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი რესპუბლიკა უნდა იყოს.

გონებამახვილი ოსი და რუსი ექსპერტები მაშინვე მიხვდნენ, რომ ეს კაცი ასე მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების გამო აჭიკჭიკდა.

ორგანიზაცია „შენი არჩევანია – ოსეთის“ თავმჯდომარე, ექსპერტი ალან ჯუსოევი 3 წლის განმავლობაში მუშაობდა კოკოითის დაქვემდებარებაში. ის ამბობს, რომ ექსპრეზიდენტი ამბიციური და „მონოლოგის კაცია“, თუმცა, ვერც იმას ივიწყებს, რომ სწორედ მისი პრეზიდენტობის დროს აღიარა რუსეთმა ცხინვალის დამოუკიდებლობა და ვარაუდობს, რომ ეს არც მოსახლეობას დავიწყებია.

– ის საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას ეცდება, მაგრამ, თუ რაღაც მიზეზით ცესკო რეგისტრაციაში არ გაატარებს, გეგმა ბე-ს აამოქმედებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მხარს დაუჭერს სხვა კანდიდატს და მას დაეხმარება ხმების მოგროვებაში, – ამბობს ოსი ექსპერტი.

მისი აზრით, კოკოითი, შესაძლოა, მოქმედი პრეზიდენტის მხარდამჭერად მოგვევლინოს.

– თუ ამოქმედდა ის ცენზი, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატს არჩევნებამდე რაღაც პერიოდი ცხინვალში ცხოვრებას ავალდებულებს, შესაძლოა, ის რეგისტრაციაში არ გაატარონ, – აღნიშნავს ჯუსოევი.

ყველაფრის მიუხედავად, ექსპერტის განმარტებით, კოკოითის თავისი ამომრჩეველი მაინც ჰყავს.

– სამხრეთ ოსეთის ამომრჩეველი თავისებურია. აქედან გამომდინარე, მას ჰყავს თავისი ელექტორატი. ეს არ არის ადამიანების დიდი ჯგუფი. საუბარია ყოფილი დეპუტატების ნაწილზე, ასევე საშუალო დონის ჩინოვნიკებზე, რომლებიც კოკოითის პრეზიდენტობის დროს სახელმწიფო სტრუქტურებში იყვნენ დასაქმებული. მათი ნაწილი დღესაც ძველ თანამდებობაზეა, – ამბობს ექსპერტი.

სამხრეთ ოსეთის პარლამენტის წევრი ამირან დიაკონოვი მოხარული იქნება, თუ კოკოითი არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

– ედუარდ ჯაბეევიჩი ოსური პოლიტიკის საკვანძო ფიგურაა. მისი პრეზიდენტობის დროს მოხდა ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება. მას დიდი დამსახურება აქვს. არჩევნებში მისი მონაწილეობა პროცესს უფრო დემოკრატიულს გახდის, – ამბობს დიაკონოვი.

დეპუტატის აზრით, კოკოითის შანსობა-უშანსობაზე საუბარს ჯერ ნაადრევად მიიჩნევს.

– არჩევნებამდე თითქმის ნახევარი წელია დარჩენილი. კოკოითის ჯერ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. ასე რომ, დაველოდოთ, – ამბობს დეპუტატი.

* * *

კოკოითის ავანჩავანი არც ოსურ ცესკოში იციან. აქ არც კანდიდატების რეგისტრაცია დაწყებულა და ამბობენ, რომ რეგისტრაცია მაშინ დაიწყება, როცა საარჩევნო კამპანია გახსნილად გამოცხადდება.

რაც შეეხება ჯაბეევიჩს, ცესკოში მის დარეგისტრირებას არ აპირებენ. კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატს სამხრეთ ოსეთში ცხოვრების 10-წლიანი ცენზი უნდა ჰქონდეს. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატობის მსურველს 93 სამუშაო დღეზე მეტი აქვს ცხინვალის მიღმა გატარებული, მას არ დაარეგისტრირებენ. გამონაკლისი საპატიო მიზეზით ემიგრაციაა.

ვნახოთ, დაამტკიცებს თუ არა კოკოითი, რომ რესპუბლიკიდან საპატიო მიზეზით იყო გასული.

## ზურაბ ჭიაბერაშვილი: „ივანიშვილისთვის დათმობას არ ვაპირებთ“



IPN

– ბიძინა ივანიშვილისთვის ბრძოლის ველზე არცერთი გოჯის დათმობას არ ვაპირებთ. პოლიტსაბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულია და ჩვენ პარლამენტში საქმიანობას გავაგრძელებთ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ნაციონალური მოძრაობის წევრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა მიხეილ სააკაშვილის განცხადების კომენტირებისას განუცხადა.

ჭიაბერაშვილის თქმით, სააკაშვილის განცხადებაში საუბარი არ ყოფილა პარტიის ერთიანობასა და გამიჯვნაზე. ის აზრთა სხვადასხვაობა ეხებოდა პარლამენტში შესვლისა და მეორე ტურებში მონაწილეობის საკითხს.

– პოლიტსაბჭომ უკვე მიიღო ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, რომ ჩვენ ივანიშვილის წინააღმდეგ ყველა ბერკეტს გამოვიყენებთ.

ბუნებრივია, არსებობს მხარდამჭერთა ნაწილი, რომელიც თვლის, რომ ეს მცდარი გადაწყვეტილებაა, მაგრამ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილება მიღებულია და ჩვენ პარლამენტში საქმიანობას გავაგრძელებთ.

მე ვფიქრობ, ამ საკითხს ემოციების გარეშე უნდა შევხედოთ. განსხვავებული აზრი ჩვენს პარტიაში ყოველთვის იყო და ჩვენ ამიტომ ვართ ევროპული, დასავლური ტიპის პარტია, რომ ასეა, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად გადაწყვეტილება მიიღება. ამ შემთხვევაშიც აბსოლუტური უმრავლესობით იქნა მიღებული გადაწყვეტილება პოლიტსაბჭოზე, როგორც მეორე ტურებზე, ისე პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით.

ჩვენი მიდგომაა, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის ბრძოლის ველზე არცერთი გოჯის დათმობას არ ვაპირებთ, – განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

მისი თქმით, პარტიას სჭირდება სიმშვიდე, სიმტკიცე და ერთიანობა.

**ინტერპრესნიუსი**

## ჯონდი ბაღათურია: „ამერიკის საარჩევნო სისტემა შესაცვლელია“



„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია მიიჩნევს, რომ ამერიკის ახალი პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ შტატების მთავარი ვექტორი რუსეთთან ურთიერთობის დალაგება და უსაფრთხოება იქნება.

როგორც ბაღათურიამ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, თუ რუსეთმა და ამერიკამ შეძლეს თანამშრომლობა, დასრულდება ის არეულობა, რომელიც დღეს სირიასა და ერაყშია.

– თუმცა, რუსეთისთვის პირველი საკითხი უკრაინა და საქართველოა. საუბარი იქნება საქართველო-უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებაზე. რუსეთისა და ამერიკის საქართველოზე დიალოგში საქართველო უნდა მონაწილეობდეს. ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, ამ რეგიონის შესახებ დიალოგი ჩვენი თანამონაწილეობის გარეშე არ გაიმართოს, – განაცხადა პოლიტიკოსმა.

მისი თქმით, ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ შტატების საარჩევნო სისტემამ და მოდელმა თავისი თავი ამოწურა, რადგან ეს მოდელი პროგრესს ვეღარ უზრუნველყოფს და მსოფლიოს უსაფრთხოებას ეჭვქვეშ აყენებს.

**მედიანიუსი**

## ირინა სარიშვილი: „ასე არ გამოვა, დეპუტატო ნაციონალებო, ჯერ გაემიჯნოთ, მერე მოემიჯნოთ!“



ირინა სარიშვილმა ფეისბუქზე პოსტი გამოაქვეყნა, რომელშიც ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენები მიმოიხილა.

ელვის სისწრაფით ვითარდება მოვლენები ბოლო დღეებში:

მიხეილ სააკაშვილის გადადგომა გუბერნატორის თანამდებობიდან პროტესტის ნიშნად 1 დღით ადრე აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნებამდე;

აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნების შედეგები;

ქართული პოლიტიკური „ელიტის“ რეაქცია ამ ყველაფერზე.

შტერი ქოცები ჯერ კიდევ ზეიმობენ ტრამპის გამარჯვებას და ის თავისიანი ჰგონიათ;

რუსებმა ზუსტად იციან, რაც მოხდა და რამდენადაც და სადამდეც შეუძლიათ, „დიპლომატიურად“ არ იმჩნევენ;

და მხოლოდ ნაციონალებმა გააანალიზეს, რაც რეალურად ხდება, მათ შორის იმ ნაციონალებმაც, რომლებმაც საქართველოს პარლამენტის არჩევნების დასრულების მეორე დღიდანვე ღია და ფარული ბრძოლა გამოუცხადეს საკუთარი პარტიის იმ წევრებს და მხარდამჭერებს, რომლებმაც მიხეილ სააკაშვილის პოზიცია გაიზიარეს არჩევნებთან დაკავშირებით და რომლებიც ღიად აცხადებდნენ რომ სწორედ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ დასაყრდენს მისცეს ხმა – ასეთები კი აბსოლუტური უმრავლესობაა.

ლანძღვა-გინება, შეურაცხყოფები, წარსული ქექვა, კომპრომატების მოძიება – მოკლედ, ყველაფერი ის, რაც ამ ადამიანებისთვის არც მაშინ იყო უცხო, როცა ისინი ხელისუფლებაში იყვნენ, დიდი ნაკადით წამოვიდა ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანისკენ.

აბა გავიხსენოთ, რა ხდებოდა ნაციონალების მართვის წლებში?

ყველამ ძალიან კარგად ვიცით, იმ წლებში სად, რომელ სართულზე და ვისი ხელმძღვანელობით იგეგმებოდა მასმედიაზე ზეწოლა და კომპრომატების შეგროვება არათუ მოწინააღმდეგეებზე, საკუთარი გუნდის წევრებზეც და ამას ყველაფერს სააკაშვილის ზურგით გამაგრებულები აკეთებდნენ, რადგან სააკაშვილი თავისი გუნდის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით ამ ყველაფრის გამო დარტყმებს საკუთარ თავზე იღებდა, ისევე, როგორც აფრასიძეების საქმეს და კიდევ უამრავ ასეთ ნამოქმედარს და ეს მისი უმძიმესი შეცდომაა.

ისიც კარგად ვიცით, როგორ გადაეფარა სააკაშვილი ჟვანიას გარდაცვალების თემას და ეს ისე გაკეთდა, რომ ყველამ დავინახეთ, რაღაცას ცრუობდნენ, ბოლომდე არ ამბობდნენ და, რაღა თქმა უნდა, მოწინააღმდეგეებმა ჟვანიას მკვლელობის ვერსია დავიჯერეთ და ესეც უდიდესი შეცდომაა პირადად მიხეილ სააკაშვილის, პასუხისმგებლობასთან ერთად, რა თქმა უნდა, რადგან პირველი პირი ყოველთვის პასუხისმგებელია ნებისმიერ საქციელზე, რასაც მისი გუნდის წევრი სჩადის.

აზრი არა აქვს ყალბი ერთობის შენარჩუნებას! ყალბ ერთობას ისევ გამოცხადებული მტრობა სჯობს!

და პარლამენტის არჩევნების შემდეგ სწორედ ის ხალხი, რომელიც სააკაშვილს უნდა უმადლოდეს აქამდე მოთრევას, რომელთა მოქმედებების გამოც მაშინდელი ხელისუფლება შეიძულა ხალხის დიდმა ნაწილმა, სწორედ ეს ხალხი, დღესაც სააკაშვილის სახელით გასული პარლამენტში, ემიჯნებოდა მას, უწოდებდა გაქცეულს და რა ვიცი, კიდევ რას და ყველას, ვინც სააკაშვილის პოზიცია დაიცვა, ღია და ფარული ბრძოლა გამოუცხადა, ეს ხალხი პოლიტიკურადაც და ადამიანურადაც წირავდა მას, ვის ზურგსაც დღევანდელ დღემდე ეფარებოდა!

და უცებ, ყოველგვარი ყოყმანის თუ მობოდიშების გარეშე ახლა ეს ხალხი აბრუნებს „პლასტინკას“ და სულ სხვანაირად ჭიკჭიკებს, რადგან, ქოცებისგან განსხვავებით, მათ ჭკუა აქვთ და ზუსტად იციან, რაც ხდება და ეს კიდევ უფრო გულისამრევია! თან, როგორც ჩანს, ისევ იმის იმედი აქვთ, რომ სააკაშვილი ისევ და ისევ ერთობის შენარჩუნების მიზნით, ამ ყველაფერზე თვალს დახუჭავს.

მე იმედს გამოვთქვამ, რომ წარსული შეცდომები აღარ განმეორდება და არც ყალბი ერთობის შენარჩუნებას ეცდება ვინმე.

ამიტომ, მე როგორც ამომრჩეველი, წარსულს აღარ ვეხები, მაგრამ დღევანდელზე მოვითხოვ, რომ ყველა ასეთმა გამიჯნულმა, რომელმაც დღეს არ ვიცი, რამდენი ხნით უკან „მომიჯვნა“ გადაწყვიტა, სანამ „მოიმიჯნებიან“, კეთილი ინებონ და ბოდიში მოიხადონ თითოეულ სიტყვაზე, მოქმედებაზე, რითაც მათ საკუთარი პარტიის წევრებს და ამომრჩევლებს არჩევნების შემდეგ შეურაცხყოფა მიაყენეს! ბოდიში მოიხადონ სინანულით და, შესაბამისად, საკუთარი ადგილიც იცოდნენ ამ ბოდიშის მერე!

ასე არ გამოვა, დეპუტატო ნაციონალებო, ჯერ გაემიჯნოთ, მერე მოემიჯნოთ! ან ბოლომდე მიაწექით თქვენს ნათქვამს, თუ მართლა ასე გჯერათ და არავის სამსახურში არ დგახართ, ან მოიხადეთ ბოდიში და იცოდეთ თქვენი ადგილი!

რა აზრი აქვს ერთობას, როცა ყოველ მოსახერხებელ დროს შეიძლება ზურგში დანა ჩაგარტყან!

მართლა ცუციკები თუ არ ხართ, მოიხადეთ ბოდიში და გააკეთეთ ის, რაც საჭიროა!

თუ არა და... მიშა, მიდი ბოლომდე!

ავადმყოფი ლოგინში!!!

**თაიმერი**

## ქართული სამღვდელოების ისტორიული ვიზიტი ნატოს შტაბბინაში

საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალურმა დელეგაციამ დაასრულა ისტორიული შეხვედრები ნატოს შტაბბინაში, სადაც სინოდის წარმომადგენლებს ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე ინფორმაცია ჯეიმს აპატურაიმ მიაწოდა.

რადიო თავისუფლების ინფორმაციით, ქართველ მღვდელმთავრებს აპატურაიმ ძალიან ინფორმირებული ადამიანები უწოდა და აღნიშნა, რომ ისინი მხარს უჭერენ საქართველოს მოსახლეობის ევროატლანტიკურ არჩევანს.

იგივე გაიმეორა რადიო თავისუფლებასთან ინტერვიუში გორისა და ატენის მიტროპოლიტმა მეუფე ანდრიამ, რომელმაც შეკითხვებს ტელეფონით უპასუხა ბრიუსელიდან.

მეუფე ანდრიას თქმით, არავისთვის უნდა იყოს გასაკვირი, თუ რატომ ინტერესდება ქართული სამღვდელოება შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხით.

– ყველას გვაწუხებს ჩვენი სამშობლოს ბედი, ის მოვლენები, რომლებიც საქართველოსთან და მის მეზობელ ქვეყნებთან არის დაკავშირებული, მით უმეტეს, თუ ეს ეხება ოკუპირებულ აფხაზეთს. ჩვენ ნატოს კომპეტენტური პირებისგან გვინდოდა მოგვესმინა პასუხები საქართველოს ბედის შესახებ. ეს იყო ზოგადი საუბარი. ჩვენ ვისაუბრეთ ტერიტორიული მთლიანობის, დევნილების დაბრუნებისა და საქართველოს უსაფრთხოების საკითხებზე.

ეკლესია არ მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამის სურვილი არც აქვს, მაგრამ ჩვენ ვართ საქართველოს მოქალაქეები და საქართველოს ეკლესიას ყოველთვის აღელვებდა ქვეყნის ბედი. როდესაც დღევანდელობა იძლევა საშუალებას, თავიანთი აზრი გამოხატონ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა თუ ჯგუფებმა, მიგვაჩნია, რომ ეკლესიასაც აქვს ამის უფლება, – აღნიშნა მეუფე ანდრიამ.

მეუფე ანდრიას მიაჩნია, რომ საქართველოს მეზობლებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ, ამავე დროს, საქართველოს თავისი განვითარების გზა აქვს, ასევე მას აქვს პრობლემები, რომლებიც მოსაგვარებელია.



PIA

– საქართველოს ეკლესია თავის ვალდებულებად მიიჩნევს, ამ საჭირბოროტო საკითხებში მონაწილეობა იმ კონტექსტში მიიღოს, რომელიც ეკლესიისთვის მისაღებია. ეკლესია თავისთვის საჭიროდ არ თვლის პოლიტიკაში მონაწილეობას, მაგრამ მისთვის ყოველთვის იქნება მტკივნეული ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. ამაზე ჩვენგან უნდა მოისმინონ ეკლესიის პოზიცია და ეს არ უნდა იყოს გადმოცემული მესამე პირების მიერ, – აღნიშნა მეუფემ.

სასულიერო პირები ბრიუსელში არსებულ ქართულ სამრევლოსაც მოინახულებენ და ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდებიან.

ვიზიტი პროექტის „საქართველო და ევროკავშირი“ ფარგლებში ხორციელდება, რომლის მიზანი საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ სასულიერო პირების ინფორმირება და ჩართულობის გაზრდაა.

დელეგაცია ბრიუსელს 7 ნოემბერს ეწვია. ვიზიტი 11 ნოემბერს დასრულდება.

**პირველი**

# გიგა ბუკია: „ტრამპი ხალხთან ახლოს დადგა“

## „სააკაშვილმა ახალი ავანტიურა წამოიწყო“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის წევრს, კონსერვატორ **გიგა ბუკიას**

***– „ქართულმა ოცნებამ“ დონალდ ტრამპს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და გამოთქვა რწმენა, რომ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები ახალი ენერგიით გაგრძელდება. ამ პოზიციას, ალბათ, არც თქვენ ეწინააღმდეგებით. როგორ ფიქრობთ, შეიცვლება თუ არა რაიმე აშშ-რუსეთის პოლიტიკაში?***

– თუ ორივე სახელმწიფოს ახლანდელი ლიდერების განცხადებებს გავიხსენებთ, ტრამპსა და პუტინს სურთ ერთმანეთთან თანამშრომლობა და სიტუაციის ნორმალიზება. რა მოხდება სინამდვილეში, ამას დრო გვიჩვენებს. თუ ამგვარი ნაბიჯები გადაიდგა, ეს არ იქნება გადახვევა ამერიკის კურსიდან და საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ წასვლა. თუ ცივი ომის საფრთხე შენელდება, ეს ცუდი არ იქნება მთელი მსოფლიოსთვის, მათ შორის-საქართველოსთვის. მსოფლიოს უსაფრთხოებიდან, დღეს არსებული დიდი რისკებიდან გამომდინარე, დაძაბულობის შენელება საჭიროა. ეს იქნება პრაგმატული მიდგომა. დარწმუნებული ვარ, რუსეთთან ურთიერთობებიც რომ დაათბოს, აშშ არასდროს შეიცვლის პოზიციას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე. ამერიკა ყოველთვის იქნება საქართველოს ერთიანობისა და არაღიარების პოლიტიკის მომხრე.

***– ტრამპის გამარჯვება ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ულტრალიბერალური ძალები ყველგან ვერ იმარჯვებენ?***

– არ გავაკეთებდი აქცენტს იდეოლოგიასა და ფასეულობებზე. ამა თუ იმ ქვეყანაში ხან ერთი იდეოლოგიის პარტია ან ლიდერი მოდის სათავეში და ხან მეორე. მთავარია, არაფერი დაემუქროს დემოკრატიის ფუნდამენტურ ღირებულებებს, ადამიანის უფლებებს. ამერიკაში ასეა. ბუნებრივია, აშშ დიდწილად განსაზღვრავს ამინდსა და პოლიტიკას მსოფლიოში. ტრამპი ხალხთან ახლოს დადგა. მისი გამოსვლები მისაღები და ახლობელი აღმოჩნდა ამერიკელების უმრავლესობისათვის. მაგალითად, ის წინასაარჩევნოდ საუბრობდა იმაზე, რომ დემოკრატია შეიძლება ილუზია იყოს, ამხელდა კორუმპირებულ ელიტას. საბოლოოდ მან დიდი მხარდაჭერა მიიღო.

***– კორუფციას უკრაინაში მყოფი სააკაშვილიც ამხელს.***

– მიხეილ სააკაშვილი აგონიაშია. ის ასეთ კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც მისმა ნაციონალურმა მოძრაობამ კატასტროფული მარცხი განიცადა საპარლამენტო არჩევნებში. აგონიაში მყოფი სააკაშვილი გადადგა გუბერნატორის პოსტიდან და უფრო ხმამაღლა გააგრძელა განცხადებების გაკეთება კორუფციაზე. უნდა ითქვას, რომ სააკაშვილის ნამდვილი სახე საქართველოშიც დაინახეს და უკრაინაშიც. მისი ავანტიურისტული გეგმები ახლა მთელი უკრაინის პოლიტიკას უტრიალებს. მანამდე ის მხოლოდ ოდესაში საქმიანობდა და გვირაბს თხრიდა საქართველომდე. ის ყველანაირად ცდილობს დივიდენდების მიღებას უკრაინის მასშტაბით, მაგრამ, არა მგონია, მას უკრაინის მოსახლეობა აჰყვეს. ბუნებრივია, მას ჰყავს ხელის ბიჭები და გოგონები, რომლებიც მისგან მებრძოლი ლიდერის იმიჯს ქმნიან. ეს მცირერიცხოვანი ჯგუფია.



***– არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ ნახევარ მილიონამდე ხმა მიიღო. ეს სააკაშვილის დამსახურებაა თუ ამ პარტიას ამ რაოდენობის სტაბილური ელექტორატი ჰყავს?***

– ნაცმოძრაობის მიერ მიღებული 27%-იდან 20% სააკაშვილის ტელევიზია რუსთავი 2-ის დამსახურებაა. მსოფლიოში ამა თუ იმ პოლიტიკოსს შეიძლება ჰქონდეს მედიასაშუალება. ეს წინასაარჩევნოდ ტრამპმაც ახსენა. რუსთავი 2 ცდილობდა შეექმნა სურათი, თითქოს ნაციონალური მოძრაობა ბრუნდება ხელისუფლებაში. ხალხის ნაწილზე ამან იმოქმედა. დანარჩენი 7% სააკაშვილის პარტიამ მიიღო იმათგან, ვინც ნაციონალებთან დგას პირადი ან მატერიალური გამორჩენის გამო. მოსახლეობას ნაციონალური მოძრაობის უმძიმესი პოლიტიკური წარსული არ დავიწყებია.

***– ჩვენთან ინტერვიუში თქვენ ივარაუდეთ, რომ ნაციონალური მოძრაობა, განხეთქილების მიუხედავად, არ დაიშლებოდა. მას შემდეგ იქ უფრო აირია სიტუაცია. დაგეგმილია პარტიის ყრილობის ჩატარება და თავმჯდომარის არჩევა.***

– ახლაც ვფიქრობ, რომ თუ ამ პარტიაში პრაგმატულად აზროვნებენ, არ უნდა დაიშალონ, თუ ორ ნაწილად გაიხლიჩებიან, ადგილობრივ არჩევნებში ორჯერ ნაკლებ ხმას მიიღებენ, ვიდრე საპარლამენტო არჩევნებში მიიღეს. რას იზამენ ნაციონალები, ეს მათი გემოვნების ამბავია.

***– დაბოლოს, პარლამენტი შეკრებისთანავე ახალ მთავრობას დაამტკიცებს. მთავრობაში ბიუროკრატიული აპარატი ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლებამ გაბერა. არ მოვიდა დრო, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძირეული ოპტიმიზაცია მოხდეს?***

– მესმის, რომ ასეთი პრეტენზია არსებობს, მაგრამ ვერ გავიზიარებ იმ ოპონენტების გამონათქვამებს, რომლებიც სამინისტროების გაუქმებით თანხების გამოთავისუფლებასა და ეკონომიას ელიან. ასეთი მოლოდინი ტყუილად არსებობს, ზოგიერთი სამინისტროს წლიური ბიუჯეტი 2 ან 1 მილიონი ლარი იყოს. თუ ასეთ სამინისტროს გავაუქმებთ, უნდა შევქმნათ თემატური დეპარტამენტი ან სამსახური. ამასაც ხომ უნდა ფული! არანაირი დაზოგვა არ გამოდის. დიდბიუჯეტიან სამინისტროებს, მაგალითად, თავდაცვას, შსს-ს, ჯანდაცვას ოპტიმიზაციაში ვერ მოვაყოლებთ, სხვა უწყებების ლიკვიდაცია კი ეკონომიკურ და ფინანსურ ეფექტს ვერ მოიტანს.

# „საქართველოს ხელისუფლებამ ტრამპთან მისასვლელი გზები უნდა მოძებნოს“

## გიორგი ბადრიძე: „ტრამპსა და პუტინს შორის უფრო მეტი კონფლიქტის პოტენციალს ვხედავ, ვიდრე თანამშრომლობისას“

როგორია ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების გლობალური ეფექტი და რას ნიშნავს ტრამპის გაპრეზიდენტება საქართველოსთვის, შეიცვლება თუ არა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები?

ამ საკითხებზე ნიუპოსტი დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს ყოფილ ელჩს, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევის ფონდის უფროს მკვლევარს, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტ **გიორგი ბადრიძეს** ესაუბრა.

***– ამერიკის შეერთებულ შტატებს მინიმუმ 4 წლის განმავლობაში სათავეში დონალდ ტრამპი ჩაუდგება. როგორია ეს რეალობა ცივილიზებული სამყაროსთვის?***

– ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ საკითხი ორი მიმართულებით უნდა გავყოთ. ეს არის საშინაო და საგარეო მიმართულებები. საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ტრამპმა არაერთი უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთა, რაც ნათლად აჩვენებს იმას, რომ მას ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის არსებული ალიანსების მნიშვნელობაზე, არა მხოლოდ სხვა კონტინენტებზე მყოფ ქვეყნებთან, არამედ თავად ნატოსთან. მე იმედს ვიტოვებ და დარწმუნებულიც ვარ, რომ ტრამპის გარემოცვა, ის საგარეო საგარეო ურთიერთობათა გუნდი, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იმუშავებს, განუმარტავს პრეზიდენტს ძალიან ბევრ მარტივ რეალობას, რომლებიც ტრამპს აშკარად არ ესმის.

უფრო კონკრეტულად თუ როგორი იქნება მისი საგარეო პოლიტიკა, ამაზე მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგ შეგვიძლია, როდესაც საგარეო პოლიტიკური გუნდის პირველი კონტურები და შემადგენლობა ცნობილი გახდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ტრამპის განცხადებებს ძალიან სერიოზული კორექტირება მოელის და რეალური პოლიტიკა წინასაარჩევნო განცხადებებისგან ბევრად განსხვავებული იქნება.

***– ტრანსფორმირების პირველი ნიშნები სახეზეა. ტრამპის ვებგვერდიდან აშშ-ში მუსლიმების შესვლის აკრძალვაზე სკანდალური განცხადება წაიშალა. იყო თუ არა დონალდ ტრამპის ხისტი განცხადებები ერთგვარი პიარსვლა?***

– რა თქმა უნდა, ეს იყო რიგით ადამიანზე გათვლილი პოპულისტური სვლა და სრულიად უპასუხისმგებლო განცხადებები. არ ვიცი, იცის თუ არა ტრამპმა იმ ქვეყნის კონსტიტუცია, რომ-



და პოპულისტური დაპირებების შესრულების შესაძლებლობას არ მისცემს.

ეს შეეხება, მაგალითად, უმცირესობებს, როგორც რელიგიურს, ასევე სხვას. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ტრამპი აპირებდა იმ დაპირებების ნახევარზე მეტის შესრულებას, რაზეც წინასაარჩევნო პერიოდში საუბრობდა. ეს იყო უბრალო ადამიანის გადაბირების საშუალება, ადამიანის, რომელიც როგორც ერთი ისევე მეორე პარტიის მხრიდან თავს გარიყულად გრძნობდა. ადამიანის, რომელიც თვლიდა რომ რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები მის ინტერესებს აღარ გამოხატავდნენ.

სამწუხაროდ, ეს არ არის ლოკალურად ამერიკული ტრენდი. ეს სერიოზული გლობალური ტენდენციაა, როდესაც პოლიტიკოსები პოპულიზმით, სრულიად უპასუხისმგებლოდ წარმოებული კამპანიით იმხრობენ ადამიანებსა და მათ ხმებს. შედეგი არის მაგალითისთვის დიდ ბრიტანეთში ევროკავშირიდან გამოსვლის რეფერენდუმი და სხვა ევროპულ ქვეყნებში ულტრამემარჯვენე ძალების აღზევება, რომლებიც თავიანთ პოლიტიკურ კამპანიას ამყარებენ ნაციონალიზმის ხშირ შემთხვევაში უკანონო იდეებით და ამით ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ინსტინქტებზე.

***– ბრექსიტი ახსენეთ. რას მოუტანს დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის გადაწყვეტილება ქვეყანას? ფაქტია, რომ მსოფლიო პოლიტიკაში მოულოდნელი პროცესები მომრავლდა.***

– დარწმუნებული ვარ, ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გამოსვლა რთხოებისთვის დამაზიანებელი მოვლენაა, მაგრამ დემოკრატიას აქვს მსგავსი თვისება, რომ ზოგჯერ შეიძლება უმრავლესობა ცდებოდეს, რაც ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური ელიტის პასუხისმგებლობაა, როდესაც შენ აღვივებ ყველაზე ქვენა გრძნობებს, როცა ადამიანის შიშებზე თამაშობ, როდესაც ტყუილით მიმართულებას უცვლი ადამიანს. მაგალითად, ბრიტანელ ამომრჩეველს უთხრეს, რომ ყველა პრობლემა, სოციალური თუ ეკონომიკური, ევროკავშირიდან გამოსვლის შემდეგ მოგვარდება, რაც სრული ტყუილია.

ტრამპმაც ტყუილი თქვა, როცა აცხადებდა, რომ იმიგრაციას კედლის აშენებით მოაგვარებს, რომ სამუშაო ადგილების შექმნას მოაგვარებს პროტექციონიზმის საშუალებით, ანუ გლობალური თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებიდან გამოსვლის გზით, უსაფრთხოების და ეკონომიკის საკითხს კიდევ უფრო მოაგვარებს საერთაშორისო უსაფრთხოების ალიანსებიდან გამოსვლით.

მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ნატო, კითხვის ქვეშ დააყენა აშშ-ის ხანგრძლივი ურთიერთობები იაპონიასთან და სამხრეთ კორეასთან და ასე შემდეგ. ეს არის აბსოლუტურად უპასუხისმგებლო განცხადებები. მას ძალიან მალე მოუწევს რეალობასთან შეხება და პოზიციის შეცვლა, თუმცა ამასობაში ის უკვე პრეზიდენტად აირჩიეს. რაც ამერიკასა და ევროპაში ხდება, ეს საერთო კრიზისის ფაზაა ლიბერალურ დემოკრატიაში.

***– აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე დონალდ ტრამპი აცხადებდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს აუცილებლად შეხვდებოდა და ეს შეხვედრა შედგებოდა მის ინაუგურაციამდეც. რას ნიშნავს ეს გზავნილი, როგორ განვითარდება აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობა?***

– მე ტრამპის მომხრე არ გახლდით, მისი არჩევის შემდეგ სადაც სერიოზულ ცვლილებას მოველი, არის არა რუსეთ-ამერიკის ახალი თანხმობის ხანა, არამედ შესაძლო გართულებები, პირველ რიგში რუსეთისთვის. მიუხედავად ტრამპის განცხადებებისა, რომ მას ეს ძლიერი ლიდერი მოსწონს და ასე შემდეგ, ტრამპს თვითონ აქვს ძლიერ ლიდერობაზე პრეტენზია, არა მგონია მოვლენაზე მწვანე შუქის ანთება ტრამპის ხასიათში ჯდებოდეს. მე ტრამპსა და პუტინს შორის უფრო მეტი კონფლიქტისა და დაპირისპირების პოტენციალს ვხედავ, ვიდრე თანამშრომლობისას.

***– საქართველოს მესამე პრეზიდენტი აცხადებს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი მისი მეგობარია. ერთ-ერთ ინტერვიუში სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ტრამპი იყო ერთ-ერთი პირველი, როდესაც რთულ პირობებში (საქართველოს პრეზიდენტობის ვადის ამოწურვისა და სამშობლოდან წასვლის შემდეგ) დაურეკა და საკუთარ სახლში მიიპატიჟა. როგორ შეიძლება განვითარდეს სააკაშვილისა და აშშ-ის პრეზიდენტის მომავალი ურთიერთობა – საქართველოს ტრამპის სახით ახალი ლობისტი ჰყავს?***

– ჩვენმა ხელისუფლებამ უკვე დაუშვა ძალიან დიდი შეცდომა, როცა ის გავლენიანი რესპუბლიკელი“ კონგრესმენი თუ სხვა პოლიტიკური მოღვაწე, რომელთანაც წინა ხელისუფლებას დამყარებული ჰქონდა ძალიან მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა, ხალხის მტრად და საქართველოს მტრად გამოაცხადა. მათ სააკაშვილის ფან კლუბი უწოდეს ნაცვლად იმისა, რომ ეს პოტენციალი გამოგვეყენებინა. ყველა მათგანი საქართველოში იყო ნამყოფი და არა სააკაშვილს, არამედ ჩვენს ქვეყანას ლობირებდნენ. ჩვენ ვიწრო პარტიული ინტერესების გამო საქართველოს ინტერესები დავაზიანეთ.

ჩვენს ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური ურთიერთობების კულტურა რომ არსებობდეს, ოპოზიციის ლიდერი გადასახლებაში არ იქნებოდა და დღეს სააკაშვილის სახით საქართველოს უძლიერესი ლობისტი ეყოლებოდა. ტრამპი კი არ იქნება სააკაშვილის ლობისტი, სააკაშვილი იქნებოდა საქართველოს ინტერესების ყველაზე დიდი ლობისტი.

ეს ჯანსაღ პოლიტიკურ გარემოში ასე მოხდებოდა, თუმცა, კარგად მესმის, რომ იმ ფონზე, როცა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არის ძებნილი საქართველოს ხელისუფლების მიერ, ეს არარეალურია. ჩვენ გვაქვს და გვქონდა პოტენციალი, რესპუბლიკურ პარტიასთან და ახალ პრეზიდენტთან ბევრი მისასვლელი გზა გვქონოდა. იმედი მაქვს, რაღაც დონეზე მაინც გამოსწორდება ეს დემონიზაცია იმ ხალხის, რომლებსაც დღესაც ძალიან დიდი გავლენა აქვს. სენატში წარმომადგენლობით პალატაში უმრავლესობა სწორედ რესპუბლიკელებმა შეინარჩუნეს. ჯონ მაკკეინი ხელახლა იქნა არჩეული. ეს ძლიერი პოლიტიკოსები იმ პოზიციაში იქნებიან, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებებზე გავლენა მოახდინონ.

***– რას ურჩევდით საქართველოს ხელისუფლებას, როგორ უნდა გააღრმავოს ურთიერთობა ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორთან და ახალ ადმინისტრაციასთან?***

– დიდი ალბათობით, ტრამპის პოლიტიკა ჯორჯ ბუშს პოლიტიკის მსგავსი არ იქნება, რომლის დეკლარირებული პოზიცია მთელს მსოფლიოში და მათ შორის ქართული ახალგაზრდა დემოკრატიის თავისუფლების მხარდაჭერა იყო. აქედან გამომდინარე აშშ-სთან ჩვენი ურთიერთობის ინტენსივობა საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ხელისუფლებამ ძალისხმევა უნდა გააათმაგოს იმისთვის, რომ შეერთებული შტატების რადარზე არ გავქრეთ.

საქართველოს ელჩი აშშ-ში ძალიან სერიოზული გეგმითა და დავალებით უნდა წავიდეს, რათა ის ძველი კავშირები განაახლოს, რომლებიც გვქონდა და აუცილებლად დაამყაროს ახალი ურთიერთობები როგორც ადმინისტრაციის, ასევე უშიშროების საბჭოსა და კონგრესის წარმომადგენლებთან იმისთვის, რომ საქართველო კვლავ აშშ-ის ინტერესის სფეროში იყოს.

**დავით ჯაბაშვილი, ნიუპოსტი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# დავით ნარმანია – „სითი პარკთან“ ხელშეკრულების გაწყვეტისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ

– სიამოვნებით დაველოდები კონკრეტულ ციფრებს, მხოლოდ ერთი ციფრის დასახელება, რა შემოსავალს იღებს „სითი პარკი“ წლის განმავლობაში, გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი არ არის.

ამის შესახებ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

დავით ნარმანიამ კომენტარი გააკეთა თბილისის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატების გაკეთებულ განცხადებებზე, რომ თბილისის მერიას შეუძლია, „სითი პარკს“ ხელშეკრულება გაუწყვიტოს და პარკირების თანხები თავად ამოიღოს.

დავით ნარმანიას თქმით, ამას მეტი არგუმენტი სჭირდება, მას ეჭვი ეპარება, რომ პარკირებისაგან ერთ წელიწადში 25 მილიონი ლარის ამოღება შესაძლებელი იქნება, თუ ამ პარკირებას დედაქალაქის მერია განახორციელებს.

ნარმანიას თქმით, როდესაც დედაქალაქის ბიუჯეტის 2017 წლის პროექტს საკრებულოში წარადგენს, დიდი სიამოვნებით მოისმენს საკრებულოს დეპუტატების კონკრეტულ მოსაზრებებს და გაანგარიშებებს, რას მოაკლონ თანხები, რათა „სითი პარკთან“ ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში მერიამ „სითი პარკს“ პირგასამტეხლო, 25 მილიონი ლარი, გადაუხადოს.

– უპასუხისმგებლო და გაუაზრებელი განცხადებების მსხვერპლი არ უნდა გახდეს ქალაქი და ათეულობით მილიონი ლარის გადახდა არ უნდა



მოუწიოს შემდეგ. ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, თავს ვიკავებთ „სითი პარკთან“ ხელშეკრულების გაწყვეტისგან, იმიტომ, რომ ჩვენი წინამორბედების მიერ „სითი პარკთან“ კაბალური ხელშეკრულება იყო გაფორმებული, რომელიც, სამწუხაროდ, ამ ხელშეკრულების გაწყვეტის საშუალებას არ გვაძლევს, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

* * *

გუშინ თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა და ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წევრმა დავით ზურაბიშვილმა თბილისის მერიისგან მოითხოვეს, გაწყვიტოს ხელშეკრულება „სითი პარკთან“, პირგასამტეხლოს თანხა 25 მილიონი ლარი აისახოს 2017 წლის დედაქალაქის ბიუჯეტში და მომავალი ერთი წლის განმავლობაში პარკირება თბილისის მერიამ მართოს.

აღნიშნულთან დაკავშირებით თბილისის საკრებულოს დეპუტატებმა პრესკონფერენცია გამართეს და საზოგადოებას თბილისის მერიიდან გამოთხოვილი ინფორმაცია გააცნეს იმის თაობაზე, თუ რა რაოდენობის თანხა ჩარიცხა კომპანია „სითი პარკმა“ თბილისის ბიუჯეტში 2014 წლის აგვისტოდან 2016 წლის 18 ოქტომბრამდე.

ალეკო ელისაშვილის თქმით, 2014 წლის აგვისტო არის ის თარიღი, როცა საქმიანობას შეუდგა თბილისის მერი დავით ნარმანია. მისივე თქმით, ამ პერიოდის განმავლობაში „სითი პარკმა“ თბილისის მოსახლეობის ჯიბიდან ამოიღო 62 მილიონი ლარი, აქედან თბილისის ბიუჯეტში ჩარიცხა 18 მილიონი ლარი, ხოლო 43 მილიონზე მეტი კომპანიამ სახლში წაიღო.

ელისაშვილის თქმით, „სითი პარკს“ არ აუშენებია არცერთი ავტოსადგომი, თეთრიც კი არ დაუხარჯავს პარკირების ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის, მისი ხარჯი არის მინიმალური და შემოიფარგლება თანამშრომელთა ანაზღაურებით, მათი ფორმებით, საღებავის ფულითა და ევაკუატორებისთვის საწვავით.

ელისაშვილის თქმით, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში აღნიშნულმა კომპანიამ სახლში 31 მილიონი ლარი წაიღო.

**ბიპიენი**

# კომერციულ ბანკებში 1 აშშ დოლარის ფასი 2.52 ლარი გახდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4773 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.4546 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0227 ლარი შეადგინა.



ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში გამყარდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.6995 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.7236 ლარს შეადგენდა.

შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0241 ლარი შეადგინა.

10 ნოემბრის საღამოს მონაცემებით, კომერციულ ბანკებში დოლარის და ევროს ფასი ოფიციალური კურსისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა.

საქართველოს ბანკში 1 აშშ დოლარი 2.5200 ლარი ღირდა, ევროს შეძენა კი 2.7700 ლარად იყო შესაძლებელი.

თიბისი ბანკში 1 აშშ დოლარის ფასი 2.5180 ლარი იყო, 1 ევრო კი 2.7680 ლარი ღირდა.

ლიბერთი ბანკის მონაცემებით, 1 აშშ დოლარი 2.5100, 1 ევრო კი 2.7670 ლარი ღირდა.

ვითიბი ბანკში 1 აშშ დოლარის შეძენა – 2.5150-ად, ხოლო 1 ევროსი 2.7640 ლარად იყო შესაძლებელი.

# „ასტრა დიღომი“ იყიდება

თბილისში ავტომომსახურების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცენტრი „ასტრა დიღომი“ იყიდება.

როგორც კომპანიის დამფუძნებელი თამაზ შაფათავა „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, ტერიტორიის გასხვისების მიზეზი ბიზნესის არარენტაბელურობა გახდა.

მისი თქმით, ტერიტორიის ყიდვის სურვილი 2 უცხოურ და 2 ქართულ კომპანიას აქვს, რომლებიც ამ ადგილას კორპუსებს ააშენებენ.

– „ასტრა დიღომის“ ყიდვა 4 კომპანიას სურს, ერთი არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდანაა, მეორე – ირანიდან, დანარჩენი 2 კომპანია კი ქართულია, თუმცა, ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს, რომელ კომპანიასთან მოხდება გარიგების დადება, – განაცხადა შაფათავამ.

„ასტრა დიღომი“ 1991 წელს დაარსდა, იგი წარმოადგენს პირველ შპს-ს საქართველოში. თამაზ შაფათავა აცხადებს, რომ წლების განმავლობაში საქართველოში ვეროკავშირის მისიას უწევდნენ მომსახურებას.

– თუმცა მას შემდეგ, რაც ევროკავშირის წარმომადგენლობამ გაწყვიტა ურთიერთობა, ბიზნესი არარენტაბელური გახდა და გადავწყვიტე, ტერიტორია გამექირავებინა, თუმცა, შემოსავალი იმდენად მცირეა, რომ საბოლოოდ გადავწყვიტე, ტერიტორია მთლიანად გავყიდო, – განუცხადა „კომერსანტს“ შაფათავამ.

**კომერსანტი.გე**




# განცხადება აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ

## კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად

**მიმართულება სამართალი**

**სპეციალობა საჯარო სამართალი**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია;

**სპეციალობა საერთაშორისო სამართალი**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია.

**მიმართულება ბიზნესის ადმინისტრირება**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია.

**მიმართულება ჯანდაცვა**

**სპეციალობა მედიცინა**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია.

**სპეციალობა სტომატოლოგია**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია.

**კონკურსი ცხადდება 2016 წლის 13 ნოემბრიდან**

**აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველებმა 2016 წლის 14 დეკემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით კონკურსანტთა საბუთების მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, შესაბამისი სპეციალობისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით (ივსება ადგილზე);
- ავტობიოგრაფია (CV);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ერთი ფოტოსურათი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საგანმანათლებლო დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;
- პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;
- ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ;
- საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სასერთიფიკატო კურსებსა თუ ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელსაც მეტი ექნება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა);
- სამეცნიერო სტიპენდიებისა და გრანტების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

**უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად:**

1. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით შეიძლება განისაზღვროს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

**ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით საჭიროა:**

- შესაბამის დარგში იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ყველა სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

**პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დასადასტურებლად:**

- დარგში მუშაობის პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს, შესაბამის დარგში, წამყვან თანამდებობებზე არანაკლებ 5 წლის მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით;
- უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

**კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:**

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კონკურსანტთა შერჩევა (კონკურსანტების დაუსწრებლად);
2. პირველ ეტაპზე შერჩეული კონკურსანტების საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება / იმიტირებული ლექციის ჩატარება (საჭიროების შემთხვევაში).

**კონკურსის პირობები:**

საკონკურსო განაცხადი და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იყოს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადებში;

უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ძირითად კრიტერიუმებთან კონკურსანტების განაცხადების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დოკუმენტაციის გადარჩევა მოხდება საკონკურსო კომისიის მიერ.

**კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება 2016 წლის 19 დეკემბერს;**

**კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდება 2016 წლის 20 დეკემბერს;**

**შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის 20 დეკემბერს;**

**კონკურსანტთა საბუთების მიღება იწარმოებს მისამართზე: ქ.თბილისი, ჩარგლის ქუჩა №73, VII სართული, ოთახი № 712**

**ტელ.: 261-12-98; 2 30-86-41; 210-52-03**

# სუს-მა ბათუმის მერის წარმომადგენელი დააკავა



სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე, ბათუმის მერის წარმომადგენელი კახაბრის ადმინისტრაციულ ერთეულში გოჩა დევაძე დააკავეს.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ გოჩა დევაძემ მოქალაქეს უკანონო მშენებლობისთვის გათვალისწინებული ჯარიმისგან გათავისუფლებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის დაჩქარების სანაცვლოდ მოსთხოვა და გამოართვა 2.000 ლარი, როდესაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს, – განმარტავენ სუს-ში.

მათივე ინფორმაციით, გამოძიება თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 19-180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

# „ტრუპი ავიკიდე“ სიცილ-ხარხარით იყო ნათქვამი“

## 76 წლის ქალის სასტიკ მკვლელობაში ბრალდებულთა ადვოკატები საქმის დაყოფას ითხოვენ

თბილისში მომხდარ სასტიკ მკვლელობაში ბრალდებულების ადვოკატები საქმეების დაცალკევებას ითხოვენ. შესაბამისი განცხადებით სასამართლო კოლეგიას დათა კვარაცხელიასა და ავთანდილ ამირანაშვილის ადვოკატებმა მიმართეს.

გამოძიება ორივე დაკავებულს დანაშაულის დაფარვასა და დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავება.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს მხოლოდ ერთი მუხლი ედება ბრალად. მას დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავებიან, სხვა პირებს კი ბრალი მკვლელობის მუხლით ედებათ. შესაბამისად, საქმეების ცალკე დაყოფა უნდა მოხდეს და დათა კვარაცხელიას მიმართ ცალკე გაგრძელდეს. ამის შემდეგ სხდომაც გაიხსნება, რადგან ის არასრულწლოვანი არ არის.

საქმეში მხოლოდ ერთი პირია არასრულწლოვანი. ერთ-ერთი დაკავებული კვარაცხელი-



ას ნათესავია. გამოძიების არგუმენტია, რადგან ნათესავი იყო, უნდა სცოდნოდა, – აღნიშნა ადვოკატმა ნიკა სადრაძემ.

ავთანდილ ამირანაშვილის ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულოა.

– ტრუპი ავიკიდე და გოგო ლაპარაკობს, რომ დედაჩემის ტრუპი, ეს იყო სიცილ-ხარხარით გამონათქვამი, რომელიც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა სერიოზულ ინფორმაციად ვერ აღიქვა. იმის მიღმა, რაც საქმეში დევს და გამოძიებაში მტკიცებულების სახით მოპოვებულია, მეტი არაფერი არ არსებობს. ჩვენი მოთხოვნაა, არასრულწლოვნის საქმე ცალკე იყოს და სრულწლოვნების საქმე ცალკე იქნეს განხილული, – აღნიშნა ადვოკატმა.

შეგახსენებთ, რომ შემზარავი დანაშაული წინა კვირას მოხდა.

გამოძიების ინფორმაციით, ასაკოვანი დედა 18 წლის გოგონამ მეგობრებთან ერთად მოკლა. ფაქტთან დაკავშირებით სულ 5 პირია დაკავებული. აქედან ერთ-ერთი არასრულწლოვანია.

**ნიუპოსტი**

# გორში „ქართული ოცნების“ აქტივისტი დააკავეს



გორში, მკვლელობის მცდელობის მუხლით, ახალგაზრდა მამაკაცი დააკავეს.

როგორც ნიუპოსტმა გაარკვია, გასულ კვირას „ქართული ოცნების“ აქტივისტი პაატა კასრაძე დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, ბრალდებულმა სუფრაზე მყოფი ერთი მამაკაცი დაჭრა. ინციდენტს წინ შელაპარაკება უძღოდა.

როგორც ნიუპოსტს საქართველოს შსს-ს პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19/108-ე მუხლით მიმდინარეობს.

# მესტიაში დაკარგული გერმანელი ინჟინრის ცხედარი იპოვეს



მესტიაში გერმანელი ინჟინრის ცხედარი იპოვეს, რომელიც 12 ივლისს დაიკარგა.

ის 3 წელი მესტიაში ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობდა.

როგორც ინტერპრესნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, პირველადი მონაცემებით დასტურდება, რომ ნაპოვნია იმ გერმანელი ინჟინრის ცხედარი, რომელიც ზაფხულში დაიკარგა.

– აღმოჩენილია მისი კუთვნილი მანქანა, რომლითაც ის გადაადგილდებოდა და დაიკარგა. ასევე ნაპოვნია კომპიუტერი და საბუთები. ექსპერტიზა დაადგენს ცხედრის ვინაობას, თუმცა, პირველადი მონაცემებით, ის გერმანელი ინჟინერია, – განაცხადეს შსს-ში.

# სტუ საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის ღვაწლმოსილ პროფესორებს (ემერიტუსებს) საპატიო ვარსკვლავი გაუხსნეს



2016 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის ღვაწლმოსილ პროფესორთა საპატიო ვარსკვლავი გაიხსნა. საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდნენ და ემერიტუსებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორებმა ზურაბ გასიტაშვილმა და ლევან კლიმიაშვილმა, საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის უფროსმა, პროფესორმა ალექსანდრე სიჭინავამ, ასოცირებულმა პროფესორმა ელენე მენაბდე-ჯობაძემ და სხვებმა.

დეპარტამენტის თანამშრომლების დიდი ნაწილისთვის პროფესორები – პარმენ ლემონჯავა, შოთა ყიზილაშვილი, ვალერი ქირია, გიორგი მალაშხია, მერაბ გველესიანი, გურამ ყუფუნია – არა მარტო კოლეგები, არამედ ყოფილი პედაგოგებიც არიან და მათ პროფესორთა ახალი თაობებისთვის, ცოდნის გადაცემასთან ერთად, პედაგოგიური მუშაობის მრავალი ნიუანსის შესწავლაშიც მიუძღვით წვლილი. სტუ-ის სტუდენტებისთვის ისინი ნამდვილი მოქალაქეობის გრძნობითა და ღირსებით ცხოვრების საუკეთესო მაგალითები და მისაბაძი ადამიანები არიან.

საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის ემერიტუსებმა მადლობა გადაუხადეს სტუ-ს რექტორს, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილს, აკადემიური საბჭოს წევრებს: საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის თანამშრომლებსა და დამსწრე საზოგადოებას მათი საქმიანობის დაფასებისათვის.

ემერიტუსებისთვის საპატიო ვარსკვლავის გახსნა არის იმის დადასტურება, თუ როგორ თანმიმდევრულად და ეტაპობრივად მიმდინარეობს თაობების ცვლა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ცოდნის დაგროვების, ზრდისა და გადაცემის, ასევე, გამოცდილების გაზიარების პროცესები და, აგრეთვე, მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა სცემდეს პატივს ყოველი მომდევნო თაობა წინა თაობის ღვაწლს, დამსახურებასა და საქმეს, რომელსაც მათ საკუთარი ცხოვრების უდიდესი ნაწილი მიუძღვნეს.

# „დათა ახალაიამ სააკაშვილს გირგვლიანის მკვლელების შეწყალება სთხოვა“

სანდრო გირგვლიანის საქმეზე მიხეილ სააკაშვილის ბრალდების ეპიზოდში საქმის განხილვა გრძელდება.

გუშინდელ პროცესზე ბრალდების მხარის მოწმე გიორგი აფციაური დაიკითხა, რომელმაც დაადასტურა კუდ-ის ყოფილი ხელმძღვანელის, დათა ახალაიას დაუგეგმავი ვიზიტი ყოფილ პრეზიდენტთან შავნაბადის რეზიდენციაში.

პროკურატურის მტკიცებით, სწორედ ამ შეხვედრისას სთხოვა ახალაიამ სააკაშვილს გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდებულების შეწყალება.

– მანქანა მოვიდა გამშვებ პუნქტთან. დავინტერესდით, ვინ იყო. მძღოლმა ჩამოუწია შუშა და გვითხრა, რომ



არის დათა ახალაია. შევიხედე მძღოლის მხრიდან მანქანაში და დავინახე დათა ახალაია. გავაჩერე გარკვეული პერიოდი, რადგან არ მქონდა ინფორმაცია მისი მოსვლის შესახებ. ოპერატორ-მორიგისგან მივიღე დასტური, რომ შემეშვა. მანქანა შევამოწმეთ. ჩამაბარეს კალაშნიკოვის ტიპის ავტომატი, რომელიც უკან წასვლისას არ წაუღიათ, – განაცხადა აფციაურმა.

პროკურორ ირაკლი ნადარეიშვილის თქმით, მოწმემ საკმაოდ არგუმენტირებულად დაადასტურა, რომ მას ახსოვს 2006 წლის დასაწყისის პირველი მეოთხედი, როდესაც დათა ახალაია პრეზიდენტის რეზიდენციაში დაუგეგმავი ვიზიტით იმყოფებოდა.

– შესაბამისად, თვითონ ის ფაქტი, რომელიც აქამდე იყო გამოკვლეული მტკიცებულების სახით, რომ დათა ახალაია პრეზიდენტთან გაემართა შეწყალების პირობის მისაღებად გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდებულ პირთა მიმართ, მისვლის ფაქტი მოწმის მიერ დადასტურდა, – განაცხადა ნადარეიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ოჯახს ქორწილში ნაჩუქარი ფული და ძვირფასეულობა მოპარეს




ოზურგეთში ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლიდან თანხა და ძვირფასეულობა წაიღეს.

ქურდებმა თბილისი-ოზურგეთის სამგზავრო რეისზე მომუშავე მძღოლის ოჯახი დააყაჩაღეს, რომელსაც რამდენიმე დღის წინ შვილის ქორწილი ჰქონდა.

არსებული ინფორმაციით, ქურდებმა იცოდნენ, რომ ქორწილში საჩუქრის სახით მიღებულ თანხას დაზარალებული ოჯახი სახლში ინახავდა.

საუბარია 3.000 ლარზე. წაღებულია ძვირფასეულობაც.

შსს-მ მომხდარზე გამოძიება სსკ 177-ე მუხლით დაიწყო.

**თეა იოსელიანი, გურია**

# გია მხეიძე გირაოთი გამოუშვეს

საპარლამენტო არჩევნების ხმების დათვლის დროს ჯიხაშკარის 79-ე და 108-ე უბნების დარბევის ფაქტზე დაკავებული გია მხეიძე ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ გაათავისუფლა.

მხეიძეს 10.000-ლარიანი გირაოს გადახდა 30 დღის ვადაში მოუწევს.

# ქედაში აქციის მონაწილეები დააკავეს

პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით ქედაში 4 პირი დააკავეს.

დაკავებულები საპროტესტო აქციის მონაწილეები არიან, რომლებიც სოფელ გოგიაშვილებში მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობას აპროტესტებდნენ.

ისინი მძიმე ტექნიკას წინ გადაუდგნენ.

მომხდარზე გამოძიება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 173-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც პოლიციისადმი წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ჰილარი კლინტონი: „ტრამპს უნდა მივცეთ შანსი, ეფექტური პრეზიდენტი იყოს“



მილიარდერ დონალდ ტრამპის გამარჯვებით ამერიკაში დემოკრატების რვაწლიანი მმართველობა დასრულდა. ქვეყანაში ახალი ხანა დაიწყო.

დონალდ ტრამპი 1946 წელს დაიბადა. ბაბუამისი გერმანელი ემიგრანტი იყო, ბებია – წარმოშობით შოტლანდიელი. ტრამპი მილიონერი ბიზნესმენის ოჯახში აღიზარდა, რამაც მის ხასიათს წარუშლელი კვალი დაამჩნია. მას არ უწევდა ლუკმა-პურისთვის მძიმე შრომა, არ მსახურობდა ჯარში, ვიეტნამის ომის დროს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლეს.

ამავე დროს, როგორც ბიზნესმენმა, ტრამპმა მარიფათი გამოიჩინა, მამისეული ქონება გააათკეცა და მილიარდერი გახდა. ამერიკაში ტრამპი ცნობილი იყო, როგორც მედიამაგნატი და სამშენებლო კომპანიის პატრონი, ცათამბჯენებს არა ამერიკულ პროვინციაში, არამედ ნიუ იორკში აშენებდა. მან სახელი გაითქვა, როგორც „რეალითი შოუს“ წამყვანმაც, თუმცა მის გადაცემაში უხვად იყო უხამსი გამონათქვამები, რამაც გადაცემის დახურვა გამოიწვია.

ტრამპი, როგორც პოლიტიკოსი, მხოლოდ მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებისას გამოჩნდა. მისმა რიგმა გამონათქვამმა (დითირამბები პუტინის მიმართ, ანტინატოური გამონათქვამები და ა.შ.) ბევრს მისცა საფუძველი, ის პრორუსულ პოზიციაში დაედანაშაულებინათ.

– ტრამპი, უბრალოდ, იძულებული გახდა ასე მოქცეულიყო, სხვაგვარად ყურადღებას ვერ მიიპყრობდა და არჩევნებს ვერ მოიგებდა, – თვლის პოლ რაიანი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-ამერიკას შორის ურთიერთობები არა ბარაქ ობამას ადმინისტრაციის, არამედ კრემლის გამოისობით დაიძაბა. ობამა „გადატვირთვის“ პოლიტიკას მიზანმიმართულად ახორციელებდა, ანუ ცდილობდა მიეღწია იმისთვის, რასაც ტრამპი ამომრჩეველს ჰპირდება. ყოველივე ამაო გამოდგა. მიზეზი ვლადიმერ პუტინის შეუვალი პოზიციაა, რომელმაც ამერიკისგან ცალსახა დათმობები მოითხოვა.

არსებულ პირობებში პუტინთან საერთო ენის გამოძებნა ამერიკის მიერ ინტერესების ცალსახად დათმობას ნიშნავს. საეჭვოა, რომ ტრამპმა ეს გააკეთოს და, რომც მოისურვოს, ამის განხორციელების უფლებას არც კონგრესი და არც სენატი არ მისცემს. ტრამპის პრეზიდენტად არჩევამ აშშ-ში საპროტესტო დემონსტრაციები გამოიწვია და, თუკი ტრამპი კრემლთან დათმობებზე წავა, მას ეს ძალიან ძვირი დაუჯდება.

საეჭვოა, ახალმა პრეზიდენტმა თავისი საარჩევნო პროგრამის სხვა პუნქტების ამოქმედებაც ცადოს (მექსიკასთან კედლის აშენება, მუსლიმანებისთვის აშშ-ში შესვლის შეზღუდვა და ა.შ.). კონგრესსა თუ სენატში რესპუბლიკელთა უმრავლესობა უბიძგებს მას, მემარჯვენე პოლიტიკა გაატაროს, ანუ დაიცვას ტრადიციული ღირებულებები, გაანეიტრალოს რუსული აგრესია და ა.შ.

ბუნებრივია, ტრამპი მოსკოვთან მოლაპარაკებებს დაიწყებს, თუმცა საეჭვოა, ამან შედეგი გამოიღოს, რადგან პუტინი დათმობებისთვის მზად არ არის და ამერიკელებისაგან ცალსახა კომპრომისებს მოითხოვს. ამის შემდეგ მოსკოვ-ვაშინგტონს შორის დაძაბულობის ახალი ტალღა დაიწყება. რუსეთი და აშშ რიგ რეგიონში ერთმანეთს მწვავედ დაუპირისპირდებიან. უწინარეს ყოვლისა, ეს სირიას, უკრაინასა და კავკასიას შეეხება.

არჩევნებში დამარცხებულმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ არჩევნების შედეგებით იმედგაცრუებულია.

– წინააღმდეგობები ქვეყანაში იმაზე ღრმა ყოფილა, ვიდრე წარმომედგინა. ტრამპის გამარჯვებაც ამან განაპირობა, – თქვა მან.

ჰილარიმ აღნიშნა, რომ დონალდ ტრამპს ქვეყნის მართვის საშუალება უნდა მისცენ და გამოთქვა მზადყოფნა, აუცილებლობის შემთხვევაში მას გვერდით დაუდგეს.

– ხალხმა ტრამპი აირჩია. ისიც ყველა ამერიკელის პრეზიდენტი უნდა გახდეს. გამოვთქვამ მზადყოფნას, რათა დღევანდელ ურთულეს ვითარებაში მას გვერდით დავუდგე, – ამბობს მისის კლინტონი.

მან მომხრეებს მოუწოდა, ტრამპის მიმართ ლოიალობა გამოიჩინონ.

– მას უნდა მივცეთ შანსი, რათა ეფექტური პრეზიდენტი იყოს, – განაცხადა მან.

აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერმა და რესპუბლიკური პარტიის წევრმა პოლ რაიანმა განაცხადა, რომ კონგრესი ახლადარჩეულ პრეზიდენტთან მჭიდროდ ითანამშრომლებს.

– რესპუბლიკელები უმრავლესობას წარმოვადგენთ. ასე რომ, ტრამპს პრობლემები არ ექნება, – ამბობს რაიანი.

❖ ❖ ❖

გერმანიის კანცლერმა მერკელმა განაცხადა, რომ დონალდ ტრამპთან შეხვედრა სურს. გერმანია მზადაა აშშ-სთან კიდევ უფრო მჭიდრო პარტნიორობისთვის.

– ტრანსატლანტიკური თანამშრომლობა ჩვენი პოლიტიკის საფუძველია. ჩვენ ამის გაფართოებისთვის მზად ვართ, – თქვა მერკელმა.

კანცლერმა აღნიშნა, რომ, შესაძლოა, ტრამპს შეხვდეს და ეს დიდი შვიდეულის შეკრებამდე მოხდეს.

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ დონალდ ტრამპს პრეზიდენტად არჩევა მოულოცა. მან გამოთქვა იმედი, რომ აშშ კვლავაც ერთგულად იდგება თავისუფლებისა და დემოკრატიის სადარაჯოზე.

– ამერიკა მსოფლიო ლიდერია და მას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გააჩნია, – ამბობს უკრაინის პრეზიდენტი.

პოროშენკომ გამოთქვა იმედი, რომ უკრაინა-აშშ-ის თანამშრომლობა ახალ საფეხურზე ავა და ამას ხელს შეუწყობს დონალდ ტრამპის ვიზიტი უკრაინაში.

– მისტერ ტრამპს ვთავაზობ, უკრაინაში ჩამოვიდეს, – ამბობს პოროშენკო.

უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ნადეჟდა სავჩენკომ კი დონალდ ტრამპს თხოვნით მიმართა. მან აშშ-ის ახლადარჩეულ პრეზიდენტს მოუწოდა, რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები გააძლიეროს.

– რუსეთი აგრესიას განაგრძობს. მას მიტაცებული აქვს ჩვენი ტერიტორიის ნაწილი. გრძელდება ომი დონბასში. სანქციების გაძლიერებაც აუცილებელია, – აცხადებს სავჩენკო.

❖ ❖ ❖

ტრამპის გამარჯვებამ კუბელები შეაშფოთა. კუბაში მასშტაბური სამხედრო სწავლებები დაიწყო.

– გამორიცხული არ არის, ამერიკელები კუბაში შემოიჭრნენ, – თვლის რაულ კასტრო.

## თურქეთში გიულენთან კავშირში ეჭვმიტანილი 35 მფრინავი დააპატიმრეს

თურქეთში ფეთჰულა გიულენთან კავშირში ეჭვმიტანილი 35 მფრინავი დააპატიმრეს.

გარდა ამისა, პროკურატურამ კიდევ 55 ეჭვმიტანილის დაპატიმრების ორდერი გასცა. აქედან 1 პოლკოვნიკია, 54 კი – მოქმედი და თადარიგის ლეიტენანტი.



ყველა მათგანი კონსტიტუციის დარღვევაში, ღალატსა და შეიარაღებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობაშია ეჭვმიტანილი. აქედან 7 მათგანს თურქეთის შეიარაღებულ ძალებში მსახურობის უფლება შეუწყდა.

თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობა მიმდინარე წლის ივლისში მოხდა. ანკარაში ამტკიცებენ, რომ ამ მოვლენების ორგანიზატორი აშშ-ში მცხოვრები მქადაგებელი ფეთჰულა გიულენია.

## ინტერპოლს სათავეში ჩინელი ჩაუდგა



ინტერპოლის ხელმძღვანელი ჩინეთის უშიშროების მინისტრის მოადგილე მენ ჰუნვეი გახდა.

ის ჩინეთის სახელმწიფოს პირველი წარმომადგენელია, რომელიც ამ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა.

ინტერპოლის ვიცეპრეზიდენტად რუსეთის მოქალაქე ალექსანდრე პროკოპჩუკი აირჩიეს.

## ფსბ-მ ყირიმში „უკრაინული დივერსიული ჯგუფი“ დააკავა

რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურმა (ფსბ) გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ყირიმში მორიგი უკრაინული დივერსიული ჯგუფი დააკავეს. „დივერსანტებს“ ჩამოერთვათ იარაღი და ასაფეთქებელი მასალები.

– ჯგუფი ყირიმში უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მიერაა შემოგზავნილი, – იტყობინება ფსბ-ს პრესცენტრი.

უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ ბრალდება უარყო. მის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მოსკოვი განაგრძობს საინფორმაციო ომს უკრაინის წინააღმდეგ, ცდილობს, უკრაინა ტერორისტულ სახელმწიფოდ წარმოაჩინოს და მისი საერთაშორისო პრესტიჟი შელახოს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

# ფაჩულიამ ძველ გუნდს მოუგო

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



ზაზა ფაჩულია იმ გუნდს დაუპირისპირდა, რომლის ღირსებასაც გასულ სეზონში იცავდა. გოლდენ სტეიტს დალას მავერიკსი ესტუმრა, რომელიც ქართველი ფორვარდის ახალ გუნდთან უშანსოდ დამარცხდა – 95:116.

ოკლენდელებმა მატჩის ბედი პირველ ტაიმში გადაწყვიტეს, რომელიც 67:36 მოიგეს. მეორე ნახევარში დალასელებმა დიდი მონდომების ხარჯზე ჩამორჩენის შემცირებაღა შეძლეს, თუმცა მოგების რეალური შანსი არც მისცემიათ.

ფაჩულია, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო, თუმცა მოედანზე მხოლოდ 13 წუთი გაატარა. ზაზამ 2-დან 1 ორქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 2 ქულით, 4 მოხსნითა და 4 პასით დაასრულა.

6 მოგებითა და 2 მარცხით გოლდენ სტეიტი ოკლაჰომასთან დასავლეთ კონფერენციის მე-2 ადგილს იყოფს, მომდევნო მატჩს კი ფაჩულიას გუნდი დენვერში ნაგიტსთან გამართავს.

საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი წევრი მაიკლ დიქსონი ათენის აეკ-ში კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა. ბერძნულმა გუნდმა ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგის მორიგ ტურში იტალიურ დინამო სასარის უმასპინძლა და 20 ქულით – 78:58 დაამარცხა.

მაიკლი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, მოედანზე 18 წუთი გაატარა და 13 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. მან 10-დან 5 ორქულიანი და სამქულიანი ჩააგდო.

4 ტურის შემდეგ 3 გამარჯვებით აეკ-ი ჩემპიონთა ლიგის ე ჯგუფში პირველ ადგილზეა და მომდევნო მატჩში, 16 ნოემბერს, გერმანულ ლუდვიგსბურგს ესტუმრება.

# ზლატან იბრაჰიმოვიჩი: „პრემიერლიგის მოგება ფანტასტიკური იქნება“



ზლატან იბრაჰიმოვიჩმა სადაც ითამაშა, ყველგან მოიგო ტიტული, მაგრამ მის თაროს პრემიერლიგის თასი აკლია, რისი მოპოვების იმედიც იუნაიტედთან ერთად აქვს.

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი:**

– უუუფ, ფანტასტიკური იქნებოდა. პრემიერლიგა რომ მოვიგო, მომდევნო დღესვე შევწყვეტ ფეხბურთის თამაშს... თითქმის! ბოლო მატჩებში ცოტა არ გვიმართლებდა, მაგრამ გვჯერა და, როცა გჯერა, ამასაც მიაღწევ. იმედი მაქვს, მოვიგებ, არა, ნამდვილად მოვიგებ.

ფეხბურთელი, რომელსაც ბარსელონაში, მილანსა და პსჟ-ში ასპარეზობისას აქვს მოპოვებული ტიტულები (ეს სრული ჩამონათვალი არ არის, რამეთუ მის ანგარიშზე 13 ჩემპიონობაა სხვადასხვა ჩემპიონატში), აღნიშნავს, რომ ეს კლუბი უდიდესია.

– ბევრ დიდებულ კლუბში მითამაშია, ყველა კლუბი დიდებული იყო და, თუ არ იყო, როცა მე მივედი, მაშინ გახდა! ყველაფერი, რასაც აქ ვაკეთებთ, უზარმაზარია, არც ადგილობრივი, არც გლობალური, არამედ მსოფლიო მასშტაბის.

როცა 25 ჯილდო გაქვს მოგებული წარმატებული კარიერის განმავლობაში, ფავორიტის გამოყოფა იბრასთვისაც კი რთულია. მისი აზრით, ყველა მედალს თავისი ისტორია აქვს. რთულია თქმა, რადგან ყველა ქვეყნიდან ერთი მაინც მაქვს, სადაც ვიყავი.

ერთია, 35 წლის ფეხბურთელს პრემიერლიგაში მანჩესტერულ დერბიში თავის გამოჩენის შემდეგ აღარ გაუტანია.

ჟოზე მოურინიოს ჯერ კიდევ სჯერა, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩი მანჩესტერ იუნაიტედისთვის ფანტასტიკურია. მოურინიო იბრაჰიმოვიჩის მიერ გამოუყენებელ მომენტებს იხსენებს, მაგრამ, ასევე აღნიშნავს, რომ გუნდს დიდ სარგებლობას აძლევს.

**ჟოზე მოურინიო:**

– იბრა გუნდისთვის კარგად თამაშობს. ბევრ მომენტს ქმნის და ბევრ მომენტს ვერ იყენებს. მახსოვს სტოკი, ლივერპული, ჩელსი და ბარნლი, სადაც ბევრი მომენტი ვერ გამოიყენა, მაგრამ დინამიკაში, შრომაში, გუნდისთვის გარჯაში ფანტასტიკური იყო. სტამბოლში თამაშზე ამას ვერ ვიტყვი. მაგრამ პრემიერლიგის ყველა მატჩში, იქაც კი, სადაც გოლი ვერ გაჰქონდა, ფანტასტიკური იყო. საქმისადმი ბრწყინვალე მიდგომა აქვს, პასუხისმგებლობა არ აშინებს. ასე რომ, პრობლემა არ არსებობს.

# სერხიო აგუერო მანჩესტერ სიტიდან არ მიდის

მანჩესტერ სიტის ფორვარდმა სერხიო აგუერომ განაცხადა, რომ



არსად წასვლას არ აპირებს და რამდენიმე წელიწადი სიტის ფეხბურთელი იქნება.

აგუერომ ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც მის რეალში შესაძლო ტრანსფერზე ალაპარაკდნენ.

რეალს დიდი ხანია სერხიოს გადაბირება სურს, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ გამოუვა. აგუერომ თავის მომავალზეც ისაუბრა და თქვა, რომ რამდენიმე წელიწადში არგენტინაში დაბრუნებასა და თავის მშობლიურ ინდეპენდიენტეში თამაშს აპირებს. ინდეპენდიენტე სერხიო აგუეროს პირველი კლუბი იყო, სადაც მან, როგორც ფეხბურთელმა, ფეხი აიდგა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# ფელიპე კოუტინიუ – კლოპის ბრაზილიელი ჯადოქარი




80-იანი წლების დასაწყისში საფეხბურთო სამყაროში გამოჩნდა მოსაზრება, რომ ფეხბურთელების ფიზიკური მომზადება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მათი ტექნიკა და შემოქმედებითი აზროვნება. თითქოს ყველაფერი იქეთ მიდიოდა, რომ მომავალში მხოლოდ უძლიერეს, დაკუნთულ მოთამაშეებს ვიხილავდით. სწორედ ამ დროიდან კეთდებოდა გაცილებით მეტი აქცენტი ფეხბურთელის გამძლეობასა და სიძლიერეზე. გართობის მოყვარული, მოწევისკენ და სმისკენ მიდრეკილი ფეხბურთელების ადგილი მოედანზე აღარ იყო.

აქედან გამომდინარე, თითქოს გასაკვირი ფაქტია, რომ „ჰევი მეტალის“ სტილით მოთამაშე ფილიპე კოუტინიუ ლივერპულში გუნდის მთავარი საყრდენი ძალაა. ბრაზილიელი შემტევი საკმაოდ ტანდაბალია. ის მხოლოდ 171 სანტიმეტრია. ამის მიუხედავად, ძალიან ენერგიულ ფეხბურთს გვთავაზობს და მოედანზე მთელი ძალით იხარჯება. სისხარტე და სწრაფი გონება ის თვისებებია რომლებიც გუნდისთვის უმნიშვნელოვანესია.

– მწვრთნელი ჩვენგან ბევრ მოძრაობას ითხოვს, ეს საშუალებას გვაძლევს სივრცეები შევუქმნათ ერთმანეთს. დღეს ეს დავალება იდეალურად შევასრულეთ და გამარჯვებით კმაყოფილები ვართ, – აცხადებს კოუტინიუ.

ფაქტი, რომ ლივერპული პრემიერლიგის სათავეში მოექცა, არცთუ ისე მნიშვნელოვანია. მთავარია, გუნდში უკვე შეიქმნა გამარჯვებულის აურა.

მერსისაიდელების შემტევ ძალაში ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურაა კოუტინიუ. ბოლო მატჩში მან გოლის გატანაც შეძლო და საგოლე პასიც მიითვალა. სულ კი მის ანგარიშზე 5 გოლი და 5 ასისტია. იმისთვის, რომ მან პრემიერლიგაში თავისი საუკეთესო შედეგი გაიმეოროს, საკმარისია 3 გოლისა და 2 საგოლე გადაცემის გაკეთება, თუმცა ყურადღება უნდა გავამახვილოთ სხვა სტატისტიკურ მონაცემებზეც. ამ ეტაპზე ბრაზილიელს სწორი პასების პროცენტული მაჩვენებელი იმაზე მაღალი აქვს, რაც აქამდე ჰქონია.

საშუალოდ მატჩში განხორციელებული დარტყმები დაახლოებით იგივეა, რაც მას წარსულში ჰქონდა, თუმცა ძალიან შესამჩნევად არის მომატებული გამამწვავებელი პასების ოდენობა. იგივეა იმ პასების რაოდენობა, რომლებიც ცნობილია, როგორც „გადაგდება“, ანუ მოედნის თავისუფალ ადგილზე ბურთის გაგზავნა იმედით, რომ თანაგუნდელი იქ სისწრაფის ხარჯზე აღმოჩნდება. წითლები ნაკლებად არიან დამოკიდებული სივრცის შექმნაზე მოწინააღმდეგის მცველების უკან.

გარდა ამისა, მეტოქისთვის არ არის სასურველი მერსისაიდელების აქტიური პრესინგი, რადგან ამ შემთხვევაში კონტრშეტევის საფრთხე იზრდება, რაც ასევე ძალიან კარგად გამოსდით კლოპის შეგირდებს. ასევე მთელი გუნდით დაცვაში თამაშიც არ არის გამოსავალი და ეს მრავალჯერ დამტკიცდა.

გერმანელის გაწვრთნილი გუნდის წინააღმდეგ თამაში ნებისმიერი მეტოქისთვის დიდი თავის ტკივილია და გუნდის ასეთ წარმატებულ განვითარებაში ბრაზილიელი შემტევის წვლილი უდიდესია.

ლივერპულში იმედს იტოვებენ, რომ ბრაზილიელი ჯადოქარი წითლების ნაწილი კიდევ დიდ ხანს იქნება, უფრო და უფრო განვითარდება და ტიტულებს მოწყურებულ გუნდს ბევრ წარმატებას მოუტანს.

# 19-წლამდელებმა ტურნირი დიდი ანგარიშით მარცხით დაიწყეს



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მშვენიერი ოთხთა ტურნირი მოაწყო საქართველოში და 19 წლამდე ასაკის 3 უძლიერესი ნაკრები ჩამოიყვანა – ესპანეთი, საფრანგეთი და ჰოლანდია. ცხადია, მათი სტუმრობა წაადგება ჩვენს ნაკრებს და გამოცდილებას კი მიიღებენ, მაგრამ საშიშია, ისედაც ცუდ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში მყოფი გიორგი ყიფიანის ნაკრები დიდი ანგარიშებით მარცხმა უფრო ცუდ მდგომარეობაში არ ჩააყენოს.

**საქართველო-ესპანეთი 0:3**

**<u>თბილისი. მიხეილ მესხი</u>**

**<u>0:1 ალენია (1), 0:2, 0:3 მბულა (28, 54)</u>**

**საქართველო**: გუგეშაშვილი, მალი, ხუბაშვილი, კობოური, ფოჩხუა (ქოჩორაშვილი 60), კუცია (ვარძელაშვილი 77), ხარაბაძე (ბულუხაძე 80), არაბიძე (არველაძე 77), ჩაკვეტაძე (სამურკასოვი 77), კვანტალიანი (ჩოგაძე 46), ქავთარაძე (საღრიშვილი 60)

**ესპანეთი**: ლორენტე, მარტინი, ალენია (პეინადო 68), ბუნუელი (კუკუ 80), მბულა (გარსია 59), ოსკარი (ნსანგი 59), ნავარო (გომესი 68), გალარდონი, გორდონი, პოსო (დიასი 59), ხენარო (პეპე ლუ 75)

ჩვენი 19-წლამდელები პირველ მატჩში ესპანეთს დაუპირისპირდნენ და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ.

უკვე ნახევარი საათის თავზე ესპანელები სოლიდურად გვიგებდნენ, თუმცა, პირველი გოლი გამარჯობასთან ერთად გაგვიტანეს – ბარსელონის საყრდენმა ნახევარმცველმა და სტუმართა კაპიტანმა კარლეს ალენიამ ესპანელები ზუსტი დარტყმით დააწინაურა.

შემდეგი გოლებიც ბარსელონელის იყო: 28-ე წუთზე ფლანგის თავდამსხმელმა ჟორდი მბულამ ესპანელთა უპირატესობა გაზარდა, ხოლო 54-ე წუთზე ალენიამ მშვენიერი გადაცემით მეკარესთან ერთი-ერთზე დატოვა მბულა, რომელმაც დუბლი შეასრულა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა – 0:3.

ესპანელები ისე ორგანიზებულად მოქმედებდნენ, რომ ქართველთა ყველა მცდელობა, რაიმე ხიფათი შეექმნა მეტოქის კართან, ამაო იყო. ერთადერთი გამოსარჩევი მომენტი იყო, როდესაც გიორგი არაბიძის ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთი ესპანელთა კარის ძელს მოხვდა. ეს იყო და ეს.

**ჰოლანდია-საფრანგეთი 1:1**

**<u>1:0 სიერჰუისი (21), 1:1 ჟავნიე (63)</u>**

**<u>თბილისი. მიხეილ მესხი 2</u>**

**ჰოლანდია**: ბილოუ, ზეეფუიკი, კნუსტერი, კაროლინა, დე ვიტი, დილორსუნი (ვან როოიენი 90), კოოპმეინერსი, სიერჰუისი (დუინი 59), ბეილევდი (ველანასი 81), ჩონგი (კლუივერტი 71), ფლორანუსი

**საფრანგეთი**: მიზონიალი, დუნჟერი, მუსა, სუისი (ფიშერი 90), სისაკო (ჟანვიე 60), ბუტობა, რუისი (მაკენგო 70), მბაპე (კლოდ-მორისი 70), რეინე-ადელაიდე (ოსეი 81), ედუარდი (იკონე 60), ადუ

ჯგუფის მეორე შეხვედრა ჰოლანდიასა და საფრანგეთს შორის 1:1 დასრულდა. თავიდან უპირატესობას ჰოლანდიელები ფლობდნენ და აიაქსელმა კაი სიერჰუისმა ლამაზი გოლით დააწინაურა თავისიანები – 1:0.

მეორე ტაიმში უკვე ფრანგები გააქტიურდნენ და რამდენიმე რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს. მალე წონასწორობაც აღდგა – ჰოლანდიელთა მცველისა და მეკარის შეუთანხმებლობით ფრანგთა ცენტრალურმა ნახევარმცველმა ნიკოლა ჟავნიემ ისარგებლა, რომელიც მოედანზე 3 წუთის შესული იყო – 1:1.

**მომდევნო მატჩები**

**11 ნოემბერი:** ესპანეთი-ჰოლანდია; საქართველო-საფრანგეთი;

**14 ნოემბერი**: ესპანეთი-საფრანგეთი; საქართველო-ჰოლანდია.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ჩელსი ლეონარდო ბონუჩის არ ეშვება

ჩელსის მთავარ მწვრთნელ ანტონიო კონტეს დიდი სურვილი აქვს, ისევ იმუშაოს იტალიელ მცველ ლეონარდო ბონუჩისთან, რომელიც იუვენტუსში მისი შეგირდი იყო. ბონუჩი ჩელსის პირველი სამიზნეა და მის გადმობირებას ლონდონელები იანვარშივე ეცდებიან.



ბონუჩი 29 წლის არის და იტალიაში ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ მცველად ითვლება, კონტეს კი ჩელსიში სწორედ დაცვის ხაზის გაძლიერება სურს.

თვითონ ბონუჩიმ არაერთხელ განაცხადა, რომ იუვენტუსიდან წასვლას არ აპირებს.

**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# „ბავშვს არასდროს უთხრათ, რომ არაფერი შეუძლია“

ეკა ირემაშვილი

როგორ ვმართოთ ბრაზი? – ამ თემაზე „ახალ თაობას“ ფსიქოლოგი ბელა ჯოხაძე ესაუბრა.

*– რა იწვევს აგრესიას საზოგადოებაში?*

– დღევანდელი მდგომარეობა განაპირობებს აგრესიის ზრდას საზოგადოებაში, გარემო ფაქტორები, სოციალური მდგომარეობა. საჭიროა, ადამიანები ბავშვობიდან იყვნენ სათანადო გარემოსა და პირობებში. დღეისათვის, სამწუხაროდ, ბავშვები ისედაც აგრესიულები არიან, რასაც უყურებენ ტელევიზორში, საზოგადოებაში, ყველგან გაღიზიანებული ხალხია და ეს მოქმედებს მათზე.

ჩვენ მშობლებთან შეხვედრის დროსაც ამაზე ვსაუბრობთ, რომ მაქსიმალურად უნდა განვავითაროთ ემპათია და ვმართოთ ბრაზი. ეს ყველაფერი კი უნდა დაიწყოს საბავშვო ბაღიდან, სადაც ბავშვი თანატოლებთან ურთიერთობას ეჩვევა, კომუნიკაცია უვითარდება და დიდხანს აღარ სხედან ტელევიზორთან და კომპიუტერთან.

*– რა უარყოფითი გავლენა აქვს კომპიუტერს ადამიანზე?*

– კომპიუტერთან ხშირად მარტოა ბავშვი. ამ რკინის ყუთთან ურთიერთობა ნაკლებია, ბევრი აგრესიის მაჩვენებელი მოდის კომპიუტერიდან. დღეს უკვე კომპიუტერთან ჯდომის ასაკიც აღარ არსებობს. ერთი წლიდან ბავშვები სხედან კომპიუტერთან. წიგნი ბევრისთვის არ არის პრიორიტეტი. რომ იცოდეთ, სასურველიც არ არის სკოლამდელი ბავშვებისთვის კომპიუტერი. ნახევარი საათიც კი ბევრია. ამას სჯობს, ტელევიზორთან დასხდნენ, რაიმეს ერთად უყურონ და განიხილონ.

უფროსებს ხშირად ავიწყდებათ, რომ ისინი ბავშვებისთვის არიან ავტორიტეტები, რასაც



აკეთებენ, ზუსტად იმავეს იმეორებს ბავშვი. ბავშვები უფროსებისგან ყველაფერს სწავლობენ, იმავე მადლობის თქმას, ბოდიშის მოხდას, რაიმეს თხოვნას. მშობლებს სულ ვეუბნები, დღეში 20 წუთი გამოყავით თქვენი შვილებისთვის, ესაუბრეთ მათ, მოუყევით საკუთარი პრობლემების შესახებ და მათაც მოუსმინეთ.

*– როდის დგება ყველაზე კრიტიკული პერიოდი?*

– 10 წლის ასაკში მთავრდება ბავშვობა და იწყება მოზარდობის, გარდატეხის ასაკი. ყველაზე რთული 3 წლის ასაკია. ამ დროს პიროვნება ყალიბდება, ამ დროს ბავშვმა უნდა გააკეთოს დამოუკიდებლად ყველაფერი, უბრალოდ, მშობლები გვერდით დაუდგნენ. კატეგორიულად არ შეიძლება ბავშვის მაგივრად გაკეთება.

ცალკე პრობლემაა ბავშვებზე საუბარი მშობლების თანდასწრებით. ბავშვთან ერთად საუბარი კი საერთოდ არ შეიძლება. კრებაზე განიხილავს მასწავლებელი საჯაროდ, შენი შვილი არის ყველაზე ცუდი, შენი შვილი დებილია. ეს კატეგორიულად აკრძალულია. მთავარია, ბავშვის ქცევაზე გავაკეთოთ აქცენტი და არასოდეს ვუთხრათ, რომ ის ცუდი გოგოა ან ცუდი ბიჭია. მასწავლებლებმა უნდა აუხსნან ბავშვებს, როგორ მართონ ბრაზი, შევიდნენ ბავშვის მდგომარეობაში, შევიდნენ მის ნაჭუჭში და მერე უკვე ბავშვთან ურთიერთობა ადვილია.

თუ ბავშვი სკოლაში ბაღიდანვე წავიდა ცუდი ქცევით, სკოლას მეტი მუშაობა დასჭირდება. თუ ბავშვს გამუდმებით ესმის, რომ მას არაფერი შეუძლია, ეს მასზე ფსიქოლოგიური ძალადობაა.

*– რა არის აგრესიის მთავარი ფაქტორი?*

– მშობლების მოუცლელობაა მთავარი ფაქტორი. ბავშვები ბევრ თამაშს თამაშობენ, ემოციებს აღარ გამოხატავენ. პოლიცია, ქურდი – ისმის სულ ბავშვებისგან. ქურდობა არავის უნდა, ყველას პოლიციელობა უნდა, იმისთვის, რომ ქურდი მოკლან. ბავშვებს დადებითი პერსონაჟები უფრო მოსწონთ, მაგრამ ისინიც ბრძოლითა და იარაღით აღწევენ წარმატებას.

*– კომპიუტერთან ყოფნის მაქსიმალური დრო რამდენია?*

– 15-20 წუთი. ნახევარი საათი ძალიან ბევრია. ამაზე მეტი არაფრით არ შეიძლება. მთავარია, არ მოატყუოთ, რომ არ გაქვთ ინტერნეტი ან კომპიუტერი არ მუშაობს, თორემ მერე დაიწყება უნდობლობის ფაქტორი. გაიყვანეთ შვილები ამ გარუხებული ქალაქიდან. თუ ვინმეს ახლოს აქვს სოფელი, გაიყვანეთ უქმეებზე ბავშვები ბუნებაში, სიმწვანეში, ჩაეხუტეთ და შეიგრძენით სიმწვანე და ბუნება.

კარგ შედეგს იძლევა, როცა ეკითხებით ბავშვს, რა ჩავიცვა, საჭმელი რა გავაკეთოთ, ბაზარში რა ვიყიდოთო. ეს პიროვნებად აგრძნობინებს თავს, რომ უკვე მას აზრს ეკითხებიან. თუ თავიდანვე დავიწყებთ ამაზე ფიქრსა და ზრუნვას, შემდეგ პრობლემები აღარ იქნება.

ასწავლეთ შვილებს თასმის შეკვრა. ამით ნატიფი მოტორიკა ვითარდება და მერე წერასაც ისწავლის. მნიშვნელოვანია, ასწავლოთ ხელების დაბანა. ბავშვი რომ ხელებს ვერ იბანს, ის როგორ დაწერს?! ესეც ერთგვარი ჯაჭვია, როგორ გავხსნა ონკანი, ავიღო საპონი, დავიბანო, კარგად გავიმშრალო და ა.შ.

დიდი მნიშვნელობა აქვს შეგრძნების ორგანოების ჩართვასაც. ჩემმა შვილმა „ვეფხისტყაოსანი“ იცის და სკოლაში როგორ ვერ ისწავლისო, ხშირად ამბობენ დედები. „ვეფხისტყაოსნის“ სწავლით შეიძლება მეხსიერება შემოწმდეს, მაგრამ სხვა უნარები ვერ მოწმდება. ბევრი რამ არის საჭირო, რომ ბავშვი წარმატებული მოსწავლე იყოს.

---

განათლება

## „ქორწილი“ 56-ე საბავშვო ბაგა-ბაღში

საქართველოს სახალხო დამცველი ეხმაურება სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოჩანაწერს, სადაც ასახულია თბილისის 56-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ აღსაზრდელთა მონაწილეობით დადგმული „ქორწინების“ სცენა.

ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ აღმზრდელობითი პროცესის ამგვარად წარმართვა ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და მავნე ზეგავლენას ახდენს მისი ცნობიერების ფორმირებაზე.



– განათლებამ უნდა მოამზადოს ბავშვი თავისუფალ საზოგადოებაში აქტიური ცხოვრებისათვის. შესაბამისად, სკოლამდელ დაწესებულებებში მიმდინარე საალმზრდელო თუ საგანმანათლებლო პროცესი უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ჰარმონიულ განვითარებას და შეესაბამებოდეს მის ასაკობრივ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, – განმარტავენ ომბუდსმენის აპარატში.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს, რეაგირება მოახდინოს თბილისის 56-ე საბავშვო ბაგა-ბაღის ღონისძიებაზე.

თბილისის 56-ე ბაგა-ბაღში გადაღებულ ვიდეოს ინტერნეტსივრცეში მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. ვიდეოზე აღსაზრდელების მასობრივი ქორწილია ასახული. როგორც აღმოჩნდა, ქორწინების ცერემონია ბაღში აღსაზრდელების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა. არსებული ინფორმაციით, საბავშვო ბაღის მასწავლებელმა, არგუმენტად წარმოადგინა პროგრამა ბაღის აღსაზრდელებისთვის, სადაც არის ასეთი პუნქტი: „ოჯახი და ტრადიციები“ და ქვეპუნქტი: „ქორწილი“.

---

## ალექსანდრე ჯეჯელავა: „კომბლე მოძალადე და ცუდი მეცხვარეა“




– კომბლე მოძალადე და ცუდი მეცხვარეა, – განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

ის მიიჩნევს, რომ ქართული ზღაპრები და მულტფილმები შესაცვლელია.

– ხშირად ვსაუბრობ, ზღაპრის გმირებით დაწყებული, მულტფილმის გმირებით დამთავრებული... რამხელა გავლენა აქვს ადამიანზე მისი ბავშვობის გმირებს. შესაბამისად, შესაცვლელი გვაქვს პრაქტიკულად ყველაფერი, მაგალითად, შეამჩნევდით, არ გვაქვს ქართული მულტფილმები. ძველები გვაქვს, რომლებიც საბჭოთა მულტფილმებია.

კომბლე მოძალადეა და ცუდი მეცხვარეა. ორი პრეტენზია მაქვს. ორი ცხვარი ჰყავს და მეცხვარეს რატომ უნდა ჰყავდეს ორი ცხვარი, თუ დაფიქრდებით, მიხვდებით, იმიტომ არის ცუდი მეცხვარე, რომ ცხვრის მოვლით არ არის დაკავებული, კომბლის მთლელია, – აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

მისივე განმარტებით, ზღაპრები და მულტფილმები იმ დროის შესაბამისი იყო, როდესაც ისინი შეიქმნა.

– სუპერმენი და სპაიდერმენი სასაცილო რაღაცები არ არის. ისინი მასწავლებლები არიან, ბავშვებისთვის გმირები არიან, შესაბამისად, ჩვენ დაწყებული გმირებიდან ესეც გასაკეთებელი გვაქვს, დამთავრებული ზღაპრებით, საბავშვო ლიტერატურით, სახელმძღვანელოებით, სასკოლო პროცესით და ა.შ. სკოლა აღზრდის ინსტრუმენტია და არა ქიმიის ან ისტორიის სასწავლებელი, – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

**ინტერპრესნიუსი**

---

## ასტროპროგნოზი
### 11 ნოემბრისათვის



**ვერძი** – ვარსკვლავების არაკეთილსაიმედო განლაგება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს. ეს განსაკუთრებით მამაკაცებს ეხება. გამორიცხული არ არის ინფექციური დაავადებების გამწვავება. **კურო** – მიამიტობა, მიმნდობლობა დღეს დაგაზარალებთ. უმჯობესი იქნება, თუ საოჯახო საქმეებს მოაწესრიგებთ. **ტყუპები** – გელით ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. წამოჭრილი პრობლემა დაუყოვნებლივ მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – წარმატებული დღეა. შესაძლოა, ძალზე სარფიანი შემოთავაზება მიიღოთ. იზრდება შემოქმედებითი პოტენციალი. **ლომი** – თავს სუსტად გრძნობთ. ეჭვიანობა და ბუტიაობა სერიოზულ ჩხუბში გადაიზრდება. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი იღბლიანია. იაქტიურეთ. საღამოს მოსალოდნელია პატარა კამათი ახლობელთან. **სასწორი** – თუ წინდახედულობასა და დაკვირვებულობას გამოიჩენთ, შანსი მოგეცემათ, სერიოზულ წარმატებას მიაღწიოთ. წყენას გულში ნუ ჩაიტოვებთ. **ღრიანკალი** – შესაფერისი დროა სამომავლო გეგმებზე ფიქრისათვის, თუმცა პლანეტები გაფრთხილებენ – გულს ნურავის გადაუშლით. **მშვილდოსანი** – ახალი საქმის დაწყება სასიკეთო შედეგებს გამოიღებს. გელით პოზიტიური ცვლილება პირად ცხოვრებაში. **თხის რქა** – ავანტიურისტებს ერიდეთ. მათთან საქმის დაჭერა ყველა გეგმას ჩაგიშლით. ფიზიკურად ნუ გადაიტვირთებით. **მერწყული** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მოსალოდნელია ტრავმები, ასევე – ქრონიკული დაავადებების გამწვავება. **თევზები** – გათავისუფლდით მავნე ჩვევებისაგან. აკონტროლეთ საუბრის მანერა. საკუთარ თავს მცირე სიამოვნებაზე უარს ნუ ეტყვით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

---

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. დიდი, ხმაურიანი წარმატება; 2. მდინარე სვანეთში; 3. კინოცენტრი ინდოეთში; 4. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 6. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 8. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის დეკორატიული მცენარე; 11. ქალაქი ლოს-ანჯელესის მახლობლად, სადაც ყოველწლიურად იმართება ვარდების დღესასწაული; 12. თოკზე მოსიარულე ჯამბაზის ძველებური სახელწოდება; 16. აღმოსავლური ტკბილეული; 17. შიკრიკი, ამბის მიმტანი; 18. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი.

**თარაზულად**: 1. უძველესი ქართული ხალხური ცეკვა, რომელიც ახალი წლის პირველ დღეს სრულდებოდა; 5. შოკოლადის ხე; 7. ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობა; 9. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი მეცნიერება; 10. ესპანელი ფერმწერი; 13. საზაფხულო ფეხსაცმელი; 14. რთული, დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 15. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 19. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 20. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 21. კუთხე საქართველოში; 22. პირველი ელექტროსადგური საქართველოში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ანანიძე; 2. პირინეი; 3. დიასტოლა; 4. კაკაჩი; 5. ბოცვერი; 8. „მარტელი“; 9. იოსემიტე; 12. „საფერავი“; 13. ფსირცხა; 16. დედვეიტი; 17. „იაგუარი“; 19. აწყური; 20. სულორი.

**თარაზულად:** 6. ინსტინქტი; 7. ვანდომი; 8. მესტია; 10. სიმონია; 11. გეტა; 14. „არსენალი“; 15. აფერისტი; 18. თეორია; 21. წახნაგი; 22. ცურვა; 23. ივრითი; 24. ციხისძირი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ღვენთი; 2. ბრამსი; 3. ბარტოლდი; 4. ბელუჩი; 6. პარასოლი; 8. „არემჯი“; 11. ქარაშოტი; 12. დემეტრე; 16. ბელგა; 17. დერბი; 18. პაიკი.

**თარაზულად:** 1. ღრუბელი; 5. სტეპი; 7. ჰაჯიბეი; 9. ნეიმარი; 10. ბულიმია; 13. ჯანდარა; 14. შაგალი; 15. „პელე“; 19. კელნერი; 20. ფელამუში; 21. სამთავისი; 22. დიჟონი.

# ქართველმა მომღერალმა უნგრეთისა და უკრაინის ფესტივალებზე გაიმარჯვა



14 წლის ქართველმა მომღერალმა ნინი ნემსაძემ უნგრეთისა და უკრაინის საერთაშორისო სიმღერის კონკურსებზე გამარჯვება მოიპოვა.

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გამართულ სიმღერის საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე „სტარტო ბორნ“ ნინიმ პირველი საპრიზო ადგილი დაიმსახურა. ამ ფესტივალიდან ქართველმა მომღერალმა მიიღო მიწვევა უკრაინის დედაქალაქ კიევში გამართულ სიმღერის საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე „ევროპა მოლოდა“.

კიევში ნინი ნემსაძემ სამი პრიზი აიღო.

# ცისანა სეფიაშვილი სახლს ყიდის



მომღერალი ცისანა სეფიაშვილი ვაკეში სახლს ყიდის.

არაყიშვილის ქუჩაზე მდებარე 4-ოთახიან ბინას მომღერალი 105 ათას დოლარს აფასებს.

მიზეზი, რის გამოც ცისანას სახლის გაყიდვა სურს, არ სახელდება, თუმცა მეგობრები ინფორმაციის გავრცელებაში აქტიურად ეხმარებიან.

9 ნოემბერს მომღერლის დაბადების დღე იყო. როგორც მან განაცხადა, ყველაზე დიდი საჩუქარი დაბადების დღეზე მისთვის სახლის გაყიდვა იქნებოდა, თუმცა ეს სურვილი არ შეუსრულდა და მისი სახლის ყიდვა არავინ ისურვა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# რესტორნის მფლობელმა მძარცველი დანებით შეაშინა



ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში მდებარე რესტორნის მფლობელმა მოახერხა, შეეშინებინა და გაექცია მძარცველი, რომელიც მას ემუქრებოდა.

46 წლის ჰანტერ ჰუმ ერთ-ერთ ადგილობრივ ტელეარხთან საუბარში განაცხადა, რომ მისი რესტორნის დახლთან ახალგაზრდა მამაკაცი მივიდა, ხმის ამოუღებლად მიუთითა დიდ დანაზე, რომელიც ქამარში ჰქონდა გარჭობილი და წერილი მიაწოდა. მასში ეწერა: „დანა მაქვს, ფული მომეცი“.

ჰუ დაინტერესდა, თუ რა თანხა სურდა და დამხმარე სათავსოსკენ გაემართა, მალე კი მობრუნდა და ხელში ორი დიდი დანა ეჭირა.

– შენ დანა გაქვს? მე კი ის ორი მაქვს! – დაუყვირა მძარცველს და მისკენ გაქანდა.

შეშინებული მძარცველი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, ისე, რომ შეუჩერებლად გადაირბინა ექვსზოლიანი ქუჩა და იქვე მდებარე ფასტფუდის რესტორანში ცადა დამალვა. სწორედ იქ დააკავა ის პოლიციამ.

# პოლიციამ ავსტრალიელ ქალს კოალის ნაშიერი ჩამოართვა

ავსტრალიის კვისლენდის შტატში პოლიციელებმა დააკავეს50 წლის ქალბატონი, რომელსაც ჩანთით კოალის ნაშიერი გადაჰყავდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალბატონი ქუჩაში პოლიციის პატრულმა გააჩერა. როდესაც სამართალდამცავებმა მას ჰკითხეს, რაიმე აკრძალული ნივთები ხომ არ ჰქონდა, მან მათ ელვაშესაკრავიანი ჩანთა გაუწოდა, რომელშიც პოლიციელებმა ცხოველი აღმოაჩინეს.

დაკავებულის თქმით, მან ცხოველი გზაზე იპოვა და სურდა, მას დახმარებოდა. ამის შემდეგ ჯანმრთელი, თუმცა საკმაოდ მოთენთილი ექვსი თვის ცხოველი, რომელსაც სახელად ალფრედი დაარქვეს, ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოებას გადასცეს, ქალი კი გაუშვეს.

კოალები კვისლენდის შტატის ხელისუფლების მფარველობის ქვეშ იმყოფებიან და მათი შინაური ცხოველებივით სახლში ყოლა აკრძალულია, ხოლო ცხოველის პოვნის შემთხვევაში მოქალაქეს 72 საათი აქვს იმისთვის, რომ ის ცხოველთა დაცვის ადგილობრივ დეპარტამენტს გადასცეს.

# მარგველაშვილმა ფოკას მონასტრის წინამძღვარი ღირსების ორდენით დააჯილდოვა



საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ფოკას მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია ელისაბედი და ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე ღირსების ორდენებით დააჯილდოვა.

დაჯილდოების ცერემონია პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა, რომელსაც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები და დიპლომატები ესწრებოდნენ.

# ნოდიკო ტატიშვილმა 30 წლის იუბილე გრანდიოზულად აღნიშნა



ქართული ესტრადის მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი 30 წლის გახდა. მრგვალი თარიღი „ჯეოსტარის“ გამარჯვებულმა რესტორან „წისქვილში“ გრანდიოზული დაბადების დღით აღნიშნა.

ნოდიკოს დაბადების დღეზე 150-მა უახლოესმა ადამიანმა მოიყარა თავი. ოჯახის წევრების გარდა, წვეულებაზე მიიპატიჟეს მომღერლები, კომპოზიტორები, მუსიკოსები.

იუბილარს დაბადების დღე მიულოცეს რატი დურგლიშვილმა, მაიკო კაჭკაჭიშვილმა, სალომე ბაკურაძემ, მაცაცო სეფისკვერაძემ, სოფო გელოვანმა, ხატია შამუგიამ, ვერიკო ტურაშვილმა, გიორგი სუხიტაშვილმა, ელენე ფოჩხუამ, თაკო გაჩეჩილაძემ, დათუნა მგელაძემ და ქართული ესტრადის სხვა ცნობილმა წარმომადგენლებმა.

დაბადების დღეზე ნოდიკოს მეგობრებმა სიმღერებიც უმღერეს და საჩუქრებითაც გაანებივრეს. რესტორან „წისქვილში“ დროსტარება გვიანობამდე გაგრძელდა და ულამაზესი ფეიერვერკითა და ნოდიკოს გამოსახულებიანი ტორტის გაჭრით დასრულდა.

# ამერიკის ქალაქში გზები ტუალეტის ქაღალდით შეაკეთეს



გზების შეკეთების ახალმა მეთოდმა ამერიკის კოლორადოს შტატის ქალაქ ლითლტონის მცხოვრებლები გააკვირვა. გზის მუშებმა ასფალტზე წარმოქმნილი ბზარები ტუალეტის ქაღალდით დაფარეს.

ქალაქის ხელისუფლებამ განმარტა, რომ თავად ბზარები ასფალტით ამოავსეს, ხოლო ტუალეტის ქაღალდი ზევიდან გადააფარეს. ამან მათ საშუალება მისცა, ქუჩებში მოძრაობა ისე გაეხსნათ, რომ ასფალტის გაცივებას არ დალოდებოდნენ და იმის შიში არ ჰქონოდათ, რომ ცხელი ასფალტი ავტომობილების საბურავებს ან ფეხით მოსიარულეთა ფეხსაცმელების ძირებს არ დააზიანებდა.

ამ მეთოდით ლითლტონში 120-ზე მეტი ქუჩა შეაკეთეს.

# სირიელი ლტოლვილი გერმანელი პორნომსახიობი გახდა



სირიელი ლტოლვილი ანტონიო სულეიმანი გერმანიაში დამკვიდრების შემდეგ პორნო ფილმების ვარსკვლავი გახდა. ახალგაზრდა ლტოლვილის ცხოვრების ისტორია ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

როგორც გამოცემას 19 წლის სულეიმანმა განუცხადა, ის გერმანიაში 15 წლის ასაკში მშობლებთან ერთად ჩამოვიდა. მისი თქმით, ის ყოველთვის ოცნებობდა პორნო კარიერაზე, მაგრამ სამშობლოში მსგავსი რამ კანონით აკრძალულია.

ევროპაში ანტონიო რამდენიმე ფილმში გადაიღეს, რომელთა შორის ყველაზე პოპულარულია „არაბი მეფე“.

ამავე დროს ყმაწვილმა დაიჩივლა, რომ მას გერმანიაშიც არ აძლევენ მოსვენებას ყოფილი თანამემამულეების პურიტანული განწყობები. სულეიმანის თქმით, თანამემამულეები მას სოციალურ ქსელებში პოულობენ, შეურაცხყოფენ და ემუქრებიან. რის პასუხადაც ის მორალისტებს სთავაზობს, რომ მას კი ნუ ესხმიან თავს, არამედ იმათ დაესხან თავს, რომლებიც ტერაქტებს აწყობენ საფრანგეთში.

სულეიმანის თქმით, მას სურს, რომ საკუთარი შემოქმედებით ევროპელებში ისლამური ქვეყნებიდან ჩამოსულ მიგრანტებზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპები დაამსხვრიოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

მურთაზ და დოდო ბაღათურიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან სიძის

**ტრისტან ბარათელის**

გარდაცვალებას.

მეზობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ტრისტან ბარათელის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

სამოქალაქო აქტების ცენტრალური არქივის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თანამშრომლის

**ამალია გუნიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.



საქართველოსა და ქალაქ ფოთის ნალები საზოგადოება, ფაზისის ეროვნული აკადემია და მ.გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრის, საქართველოს კომპარტიის ფოთის ქალაქკომის ყოფილი მეორე მდივნის, უნიჭიერესი, ულამაზესი ქალბატონის, ფიზიკური სრულყოფილებისა და სულიერი სამყაროს უმშვენიერესი ნაზავის, საოცარი კოლორიტული პიროვნების, ქალბატონი

**ლეილა კაკულიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უწმინდესი სული!

**ნუგზარ ნადარაია, ბაკურ გულუა,**
**სამანა დგებუაძე, ეთერ ქაჯაია,**
**მურმან ხურცილავა, რაჟდენ ქარდავა**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

პარასკევი
11 ნოემბერი

06.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" 07.00 დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" 08.00 "მხიარული ფერმა" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ტრიუმფი**" 12.20 მხ/ფ "**გრაფინია პონკონგიდან**" (ს.ლორენი) 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" 15.00, 02.50 "X სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა 21.00 ტ/სერ. "**შურისძიება**" 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.00 ტ/სერ. "**ამერიკელები**" 00.00 მხ/ფ "**ნაიარევი სახე**"

08.00, 14.00 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 09.00, 17.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 მხ/ფ "**ოდრი ჰეპბერნის თავგადასავალი**" II ნაწ. 12.00 ტ/სერ. "**მეამბოხე მიწა**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "ეპიცენტრი" 22.00 01.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35 სერ. "**პატარძალი**" 18.50, 19.03 სერ. "**ღირსების სახელით**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 ღია ეთერი– პოლიტიკური თოქ შოუ 23.30 მხ/ფ "**კოლუმბიანა**" 01.15 მხ/ფ "**ადამიანი ფარვანა**" 03.00 მხ/ფ "**ზულანდერი**"

06.00სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**წითელი და შავი**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**ოქროს გალია**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 22 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

**არხის რეორგანიზაციის გამო ტელეპროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "ველური ბუნება" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 10.50 მოკ. მხ/ფ "**სიბრძნე სიცრუისა**" 12.10 პორტრეტები 13.15 ერთხელ ბავშვობაში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 გამოყენებითი ხელოვნება "კერამიკა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 დ/ფ "ველური ბუნება" 16.30 კონცერტი 17.00 მიწათმოქმედი "ქართული ხორბლის მნიშვნელობა" 17.30 ჩვენი საგანძური 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ხევისბერი გოჩა**" 20.40 ძილი ნებისა "ქვეყნის მაშენებლები" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 ქვიშით ამღერებული პოეზია 21.15 დროის ჩანაწერები 22.00 სიახლენი 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ადგილნი თონეთისანი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დეკორატიული ფლორა "ყოჩივარდა" 00.35 მგზავრები წუთისოფლისა 01.00 დ/ფ 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**კარმელიტა**" 10.00 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 11.00 პოლიტ თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი"(10.11.16) 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 23.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 14.30 სერ. "**ორი გული**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.00, 3.00 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.50 სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" 19.55 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**გემი**" 22.40 სერ. "**ესკობარი**" 1.00 მხ/ფ "**როცა ვკვდებოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 ნოემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4546

ევრო — 2.7236

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0476

100 რუსული რუბლი — 3.8563

## ამინდის პროგნოზი 11 ნოემბრისთვის




## 8 ნოემბრიდან

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

### დევიდ ლოურენსი
### ლედი ჩეთერლის საყვარელი




ამ რომანმა გამოსვლისთანავე დიდი სკანდალი გამოიწვია.

მწერლის სამშობლოში, დიდ ბრიტანეთში, 1930 წელს უკვე დაბეჭდილი წიგნების მთელი ტირაჟი გაანადგურეს.

აკრძალვა 1960 წლამდე მოქმედებდა, ვიდრე გახმაურებული სასამართლო პროცესის შემდეგ ამ რომანმა მთლიანად არ აღიდგინა თავისი უფლებები.

წიგნში აღწერილია სიყვარულის კლასიკური სამკუთხედი: ახალგაზრდა ლამაზი ქალი, ინვალიდი ქმარი და მოუხეშავი ტყის მცველი.

დევიდ ლოურენსის ეს წიგნი მსოფლიოს საუკეთესო ნაწარმოებების რიცხვშია და მისდამი ინტერესი დღემდე არ განელებულა.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 10 ნოემბრიდან

### ჯერალდ დარელი
### იდუმალი ხმების ქვეყანა. მთვრალ ტყეში




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## იუმორი



კაცები ქეიფობენ, ყველა მხიარულობს, ერთის გარდა. ერთ-ერთი ეკითხება:

– რა დაგემართა, რატომ ხარ მოწყენილი?

– ჩემს ცოლს შიდსი აღმოაჩნდა.

– ...

– რა დაგემართათ, რა ფერი დაგეკარგეთ? ვიხუმრე, ვიხუმრე.

●●●

მამა შვილს არიგებს:

– შვილო, დაიმახსოვრე, ცხოვრებაში ყველაფერს მუშტებით ვერ მიაღწევ, ზოგჯერ ხელში ჯოხის აღებაცაა საჭირო.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ვაიმე, მარილი დამეყარა.

– პოო, ეგ ცუდია, ჩხუბი იცის.

– იქნებ გადავრჩეთ?

– არა, ძვირფასო, განწყობა უკვე შევიქმენი!

●●●

ფილოსოფოსმა გადაწყვიტა, ცოლის დაბადების დღისთვის სადღესასწაულო ტორტი შეეკვეთა, მივიდა საკონდიტროში და კონდიტერს ეუბნება:

– მინდა, ტორტზე წარწერა გაუკეთოთ.

– რა დავაწეროთ?

– დააწერეთ: „შენ საერთოდ არ ბერდები" ზევიდან, „შენ, უბრალოდ, უკეთესი ხდები!" ქვევიდან.

საღამოს სტუმრები მოვიდნენ. გაიშალა პურმარილი. ბოლოს შემოიტანეს ტორტის ყუთი, გახსნეს და ტორტს აწერია: „შენ საერთოდ არ ბერდები ზევიდან, შენ, უბრალოდ, უკეთესი ხდები ქვევიდან".

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ურთიერთმოკითხვის შემდეგ ერთი მეორეს ეკითხება::

– შენი ცოლი როგორ არის? – უცბად გაახსენდა, რომ გარდაცვლილია და სწრაფად დაამატა, – იმავე სასაფლაოზეა?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემს ცოლს სპილოზე უკეთესი მეხსიერება აქვს.

– რა მხრივ?

– სპილოს ხომ ყველაფერი ახსოვს, რაც იყო, ჩემს ცოლს კი ისიც ახსოვს, რაც არ ყოფილა.


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





## ბავშვები ანჯელინა ჯოლისთან დარჩებიან



ამერიკელი მსახიობები ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი შეთანხმდნენ, თუ ვისთან დარჩებიან მათი ბავშვები განქორწინების შემდეგ.

ანჯელინა ჯოლის წარმომადგენლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაახლოებით ერთი კვირის წინ წყვილმა ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, ექვსივე ბავშვი დედის მფარველობის ქვეშ დარჩება, ხოლო პიტს მათი მონახულების უფლება ექნება, თუმცა, ამავე დროს, ვრცელდება სხვა ინფორმაციაც იმის შესახებ, რომ ჯოლის წარმომადგენლის განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება, სიტუაცია არ შეცვლილა და ვარსკვლავები კვლავაც არ შეთანხმებულან იმაზე, თუ ვის უნდა დაეკისროს ბავშვებზე მეთვალყურეობა.

## რადიოხულიგანმა თვითმფრინავის დაშვება შეაფერხა



ავსტრალიის ფედერალური პოლიცია ეძებს ბოროტმოქმედს, რომელიც მელბურნის რაიონში ავიადისპეტჩერებისა და თვითმფრინავის პილოტების საუბარში ჩაერია.

პოლიციის მონაცემებით, რადიოხულიგანი ავიაკომპანია ვირჯინის თვითმფრინავს დაუკავშირდა, რომელიც მელბურნის ერთ-ერთ აეროპორტში ასრულებდა დაშვებას და თავი დისპეტჩერად გაასაღა. მისი რჩევით პილოტმა თვითმფრინავი 3000 ფუტი (დაახლოებით 1200 მეტრი) სიმაღლეზე აიყვანა და ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის თავზე დაიწყო წრეზე ფრენა.

იმავე დღეს უცნობმა თავი მსუბუქი თვითმფრინავის პილოტად გაასაღა, რომელიც ავარიას განიცდიდა. მან დისპეტჩერებს რადიოთი აცნობა, რომ მისი თვითმფრინავის ძრავა მწყობრიდან გამოვიდა და დახმარება ითხოვა.

გამოძიებისთვის თხუთმეტი მსგავსი ინციდენტის შესახებაა ცნობილი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მელბურნის რაიონში მდებარე ტულამარინისა და ავალონის აეროპორტებში.

სამართალდამცავებმა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს ბოროტმოქმედის დაკავება, დაპატიმრების შემთხვევაში კი მას 20 წლით პატიმრობა ემუქრება.

## არგენტინის სასამართლომ შიმპანზე ზოოპარკიდან გაათავისუფლა



არგენტინის სასამართლომ დაადგინა, რომ ქალაქ მენდოსის ზოოპარკიდან გაათავისუფლდეს შიმპანზე, სახელად სესილია, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში შეუფერებელ პირობებში ჰყავდათ გამომწყვდეული.

საქმე სასამართლოში ცხოველების უფლებების დაცვისთვის მებრძოლმა იურისტთა ასოციაციამ შეიტანა. თავიანთ სარჩელში მათ განაცხადეს, რომ სესილია გალიაში მარტოა გამომწყვდეული, რამაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა.

სასამართლო განხილვის შედეგად მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, შიმპანზე მენდოსის ზოოპარკიდან გათავისუფლდეს, ხოლო სანამ ცხოველისთვის ახალ საცხოვრებელ ადგილს გამოძებნიან, მასზე ზედამხედველობა ცხოველების უფლებების დაცვისთვის მებრძოლ იურისტთა ასოციაციამ განახორციელოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ფრენკ ლემპარდი დონალდ ტრამპით აღფრთოვანებულია



მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპმა საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო და ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტი გახდა, მის შესახებ ბევრმა ადამიანმა გამოთქვა თავისი აზრი, მათ შორის ფეხბურთელებმაც.

ფრენკ ლემპარდმა, რომელიც ამჟამად ნიუ იორკის გუნდში თამაშობს, თქვა, რომ ტრამპი ძალიან საინტერესო ადამიანია, რომელიც ან გიყვარს, ან გძულს, მაგრამ ის ყოველთვის ყურადღების ცენტრში იმყოფება.

ლემპარდის აზრით, ტრამპი კარგი პრეზიდენტი იქნება, რომელიც აშშ-ს სტაბილურობას შეუნარჩუნებს და მის გაძლიერებას შეეცდება.

ლემპარდის აზრს არ იზიარებს ბელგიელი მცველი ვინსან კომპანი, რომელიც ფიქრობს, რომ ძალაუფლებას მსოფლიოში იდიოტები დაეუფლნენ. რთული მისახვედრი არ არის, რომ კომპანიმ დონალდ ტრამპი იგულისხმა.

## ფილიპ ლამი სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას აპირებს

მიუნხენის ბაიერნის კაპიტანმა ფილიპ ლამმა განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს, შესაძლოა, ფეხბურთელის კარიერა დაასრულოს.

სეზონის ბოლოს ლამი 34 წლის იქნება და ეს არ არის ფეხბურთელისთვის კრიტიკული ასაკი, თუმცა, ლამის აზრით, მისთვის ეს ასაკი კარიერის დასასრულებლად შესაფერისია.




ბაიერნის მცველმა დაამატა, რომ სეზონის განმავლობაში მან შესაძლოა აზრი შეიცვალოს და ეს მის სხეულზე იქნება დამოკიდებული.

ფილიპ ლამმა მთელი თავისი კარიერა ბაიერნში გაატარა და ის ამ გუნდის ერთ-ერთ ლეგენდად ითვლება.

2011 წლიდან ის ბაიერნის კაპიტანია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში; 2. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი.; 3. ფრანგული სამხედრო ვერტმფრენმზიდი ხომალდი; 4. გარეული მტრედი; 5. ქართველი რაგბისტი; 8. კომერციული საქმიანობა; 9. ჯემისგულიანი კანფეტი; 12. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები გუნდისა და ორკესტრისათვის; 13. თხელი, დაბეგვილი ხორცის ნაჭრის კატლეტი; 16. სახელმწიფოების, პოლიტიკური პარტიების კავშირი; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური შეჯიბრება; 20. სომხური ცეკვა.

**თარაზულად**: 6. კუთხე საქართველოში; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 10. მუნჯი კინოს ფრანგი კომიკოსი; 11. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 14. მონასტერი ქარელის რაიონში; 15. ქართველი შტანგისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 18. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 21. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 22. აღმოსავლური ტკბილეული; 23. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 24. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





ლურჯი წითელი ყვითელი შავი